

ქართული ენოლოგია

IX წ.

საყოველთაო კვირეული.

IX წ.

№ 8.

კვირა, 18 თებერვალი 1901 წელსა.

№ 8.

გრიგოლ მისხალის-ძე და მეუღლე მისი ბაბუაზე
მაქსიმეს ასული წულუკიძე მწუხარებით აუწყებენ
ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას თავიანთ ბა-
ტარა ქალის **თამარისას**. მიცვალებულის გამოხვე-
ნება მოხდება დღეს პირველ ზაათზე. (მთა-წმინდის
ქუჩა, სახლი ტერ-სიმონიანცისა № 1).


შინაარსი: მე-XIX საუკუნის მოღვაწენი.— შინაური მიმო-
ხილვა.— სხვა-და-სხვა ამბები.— კორესპონდენცია.— სახალხო თეატ-
რის დაარსება თფილისში.— რუსეთის ცხოვრება.— საზღვარგარეთ.—
ცოლი და ქმარი, მოთხოვა ეგ. ნინოშვილისა.— ნაწყვეტები გიო-
ტეს „ფაუსტიდან“.— ისტორიული მეცნიერებიდან.— ამბები სომეხ-
თა ცხოვრებიდან.— გურიის მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ.— გან-
ცხადებანი.

მე-XIX საუკუნის მოღვაწენი.

I. ბოლიტიკოსები.

4. გამბეტა.

საფრანგეთის ერმა დი-
დი რევოლუციით გვაუ-
წყა ის, თუ რანაირი წეს-
წყობილება სურდა მას შე-
მოელო თავის ქვეყანაში.
ეს წყობილება არის რეს-
პუბლიკა. რესპუბლიკას
ეტრფოდენ განსაკუთრე-
ბით წვრილი ბურჟუაზია
და მუშა-ხალხი. და აი,
სწორედ ამათი დაარსებუ-
ლი იყო პირველი რესპუ-
ბლიკა. მაგრამ მეორე
მხრით, ერის მაღალი წრე-
ები მუდამ ებრძოდნენ რეს-
პუბლიკანელთა და მეცა-
დინეობდნენ ან ძველებური
მონარქიის (კონსერვატო-
რები) ან ლიბერალური
მონარქიის (ტიერი და სხ.)
განმტკიცებას და გამარ-
ჯვებას ამ უკანასკნელთ
რჩებოდათ. პირველი რეს-
პუბლიკა დაამხო ნაპოლე-
ონ პირველმა, მეორე რეს-
პუბლიკა—ნაპოლეონ მე-
სამემ (1851 წ.), 1870 წ.
პარიჟის ხალხმა კიდევ გა-



მოაცხადა მესამე რესპუ-
ბლიკა და ნაპოლეონი ტახ-
ტიდან გადააყენა. მას შემ-
დეგ ავგერ 30 წელზე მე-
ტია და რესპუბლიკა არ
შერყეულა. ცხადია, ის
მკვიდრ საძირკველზე ავე-
ბულა და ხალხის გულში
შეურყეველი ბინა გაუკე-
თებია. და აი, ამ რესპუ-
ბლიკის ერთი დამაარსებე-
ლი, მისი სულის ჩამდგმე-
ლი და დამმაგრებელი იყო
ლეონ გამბეტა.
გამბეტა, ტომით ებრა-
ელი, დაიბადა 1838 წ. ქ.
კაპორში; შეისწავლა იუ-
რისპრუდენცია და 1859
წ. ჩაირიცხა პარიჟის ად-
ვოკატთა შორის. იმან და-
იწყა პოლიტიკური პრო-
ცესების წარმოება და ამით
სახელი მოიხვეჭა, მაგრამ
მისი სახელი 1868 წლამდე
ადვოკატთა და სასამარ-
თლოების წრეს დიდათ არ
გასცილდებოდა. ამ წელს
მთავრობამ პასუხის გებაში
მისცა რამდენიმე გაზეთი
1851 წლის აჯანყებაში

მოკლულ ბოდენის ძეგლის დასადგამათ ფულის შეგროვებისათვის. გამბეტა გამოვიდა ამ გაზეთის დამცველათ და მისმა სამსჯავროს წინაშე წარმოთქმულმა სიტყვებმა შეანძრია მთელი საფრანგეთი, მთელი ევროპა. გამბეტამ პირდაპირ ომი გამოუცხადა ნაპოლეონ მესამეს, მის მთავრობას და დროშა რესპუბლიკისა აღმართა. რესპუბლიკანელების პატარა ჯგუფმა გამბეტა აღიარა თავის მეთაურათ და სასამართლოდან ხალხში გადაიყვანა ახალი აზრების საქადაგებლათ. 1869 წ. დეპუტატთა არჩევნების დროს გამბეტამ შემოვლო საფრანგეთის დიდი ქალაქები და თავისი მჭევრმეტყველობით ყველგან რესპუბლიკანური მოძრაობა გამოიწვია. ის თვითონ ერთსა და იმავე დროს დეპუტატთა აირჩია პარიჟმა და მარსელმა. გამბეტა შევიდა პარლამენტში და უკიდურეს მემარცხენთა წინამძღოლი შეიქმნა. ის წინააღმდეგა ნაპოლეონის მიერ ომის გამოცხადებას (ფრანგთ-გერმანელთა ომი) და მთავრობის საგარეო პოლიტიკას. გერმანელებმა აიღეს ქ. სედანი და ნაპოლეონი ტყვედ წაიყვანეს. 4 სექტემბერს შეიყარა პარლამენტი მეფის მოადგილის, რეგენტის, დასანიშნავათ, მაგრამ ამ დროს პარიჟის ხალხმა შეანგრია დარბაზი და დაიგრილა: გაუმარჯოს რესპუბლიკას, ძირს შეფოხა! გამბეტამ ისარგებლა ამით და ჟიულ-ფავერთან ერთათ აჯანყებულ ხალხს წაუძღვა პარიჟის საბჭოში და აქ მესამე რესპუბლიკის დაარსება გამოცხადდა. შედგა „დროებითი მთავრობა ნაციონალური დაცვისა“, რომლის მეთაურობა და შინაგან საქმეთა გამგეობა იტვირთა გამბეტამ. ნაპოლეონის ოჯახი გაიქცა ინგლისში. გერმანელები შემოვიდნენ საფრანგეთში და პარიჟს დაუახლოვდნენ. გამბეტა ჰაეროსტატით პარიჟიდან პროვინციაში გადავიდა ჯარის მოსაგროვებლათ და დაშინებულ ქვეყნისათვის იმედის მისაცემათ. მისმა პროკლამაციებმა შეანძრის მთელი პროვინცია, ის იწვევდა მთელ საფრანგეთს საომარ ველზე გამოსასვლელათ და გერმანელთაგან პარიჟის გასათავისუფლებლათ, მაგრამ ამხოთ: პარიჟს თანდათან გაუჭირდა საქმე და ბოლოს იძულებული შეიქმნა ზავის ჩამოგდება ეთხოვა. გამბეტამ ვერა გააწყურა., მხოლოდ დეკრეტი გამოსცა, რითაც ნაპოლეონ მესამის ყველა ცნობილ მომხრეთ (წინანდელ მინისტრთ, სენატორთ, პრეფექტებს და სხ.) და სასახლის წევრთ არჩევნის უფლება ჩამოერთვა. ამ დეკრეტს წინააღმდეგა ბისმარკი და მთავრობაც იძულებული გახდა უკან წაეღო და გამბეტაც მთავრობისგან გამოვიდა. არჩევნები დაიწყო და გამბეტაც ათ დეპარტამენტში აირჩიეს; იმან მიიღო რეინის დეპარტამენტის არჩევანი, პარლამენტში ზავის ჩამოგდების წინააღმდეგი შეიქმნა და, როცა გერმანიამ ელზას-ლორენი შეიერთა, დეპუტატობაც დასტოვა და მხოლოდ 1871 წ. ივნისში ხელ-ახლა აირჩიეს და პარლამენტში უკიდურეს მემარცხენთა მეთაურათ გამოვიდა.

პარლამენტის დიდი უმრავლესობა მონარქიელები იყო და ესენი დღე-დღეზე ლამობდნენ რესპუბლიკის, გაუქმებას და ისევ მონარქიის შემოღებას. მაგრამ, საბედნიეროთ, ესენი ვერ თანხმდებოდნენ თვით მონარქის ვინაობაში. ბონაპარტელები ნაპოლეონისკენ იყვნენ, ორღენისტები—ორღენელისაკენ და ლეფიტიმისტები ბურბონელთა გვარისაკენ. ამ დავაში მიდიოდა ხანი და რესპუბლიკა ისევ ფეხზე იყო. და აი, ასეთ ვარემოებაში

გამბეტამ შესცვალა ტაქტიკა და დაადგა უფრო ზომიერ გზას. ის ამბობდა: ძალიან ბევრისათვის რესპუბლიკა უნდა შენდეს რევოლუციის, კომუნას, შეძლებულების ვაცარცვას და სხ. საჭიროა დავანახვით მათ, რომ რესპუბლიკა მათთვისაც სასარგებლოა, საჭიროა ისინი დავუახლოვოთ რესპუბლიკასო. ამით შექმნა მან ეგრედ წოდებული „ობორტიუნისმი“, ე. ი. „დროს შესაფერი“ და თანდათანობითი პოლიტიკა. მონარქიელებმა დასცეს პრეზიდენტი ტიერი და მის ნაცვლად აირჩიეს მონარქიელი მაკ-მაჰონი, (1873 წ.). რომელმაც სამინისტრო მონარქიელთ ჩააბარა და ასე რესპუბლიკა ჰაერში გამოკიდული შეიქნა. ახალმა მთავრობამ დაიწყო ძველი წესების აღდგენა, საარჩევნო უფლების შეზღუდვა და სხ., პარლამენტში გაჩაღდა პარტიათა ბრძოლა, რის მსხვერპლი შეიქმნა სამინისტრო. მთავრობამ დაშალა პარლამენტი და ხელ-ახალი არჩევანი დანიშნა (1875 წ.). გამბეტა წარსდგა ხალხის წინაშე თავისი ზომიერი პროგრამით, მოვლო საფრანგეთი კიდის კიდემდის და თებერვალში (1876 წ.) მომხდარ არჩევნებს შესანიშნავი გამარჯვება მიანიჭა: 532 დეპუტატში 360 რესპუბლიკანელი აარჩიეს, დანარჩენი მონარქიელნი, ხოლო თვითონ გამბეტა აარჩია პარიჟმა, მარსელმა, ბორდომ და ლილმა. მან მიიღო პარიჟის არჩევა და პარლამენტში შევიდა როგორც რესპუბლიკის მეთაური. 360 დეპუტატი, ე. ი. პარლამენტის უმრავლესობა მისი სრული მორჩილი გახდა და თუმცა მას ყოველთვის უბრალო თანამდებობები ეჭირა, მაგრამ მთავრობის ნამდვილი მეთაური ის იყო. მას შეეძლო გადაეყენებია სამინისტრო, გაეთეთრებია ეს თუ ის პროექტი და სხ. ერთი სიტყვით, სცენაზე გამოვიდა „gouvernement anonyme“—„უსახელო მთავრობა“ გამბეტასი. გამბეტამ თანდათან მიიხზრო ბურჟუაზია და დაიშორა მუშა-ხალხი. იმან ახლა დასტოვა უკიდურესი მემარცხენობა და შეიქმნა ცენტრის მეთაურად. მაკ-მაჰონი არ იყო კმაყოფილი რესპუბლიკელთა უმრავლესობით, მან გადასწყვიტა გაბედულათ. მოქმედება, ჩააყენა ყველგან ჯარები, ფეხზე დააყენა მთელი პოლიცია და ასეთ სახედრო პირობებში დაშალა პარლამენტი და ახალი არჩევნები დანიშნა (1877 წ.). გამბეტამ გამოსცა ისტორიული პროკლამაცია და ურჩევდა ხალხს დათხოვილი 360 რესპუბლიკანელი დეპუტატის ხელ-ახლად არჩევას. მან მოვლო საფრანგეთი, ლილში შეეხო თვით მაკ-მაჰონს და წარმოსთქვა სახელოვანი ფრაზა,—„il faudra se soumettre ou se demettre“—ის (მაკ-მაჰონი) ან უნდა დაგვმორჩილდეს და ან წავიდესო,—რისთვისაც პარიჟის სამსჯავრომ ციხეში დაპატიმრება გადაუწყვიტა, მაგრამ, ხალხის შიშით, სისრულეში ვერ მოიყვანა. ოქტომბრის არჩევნებმა სრული გამარჯვება მიანიჭა გამბეტას: არჩეულ იქმნა მისი 360 დეპუტატი და მაკ-მაჰონიც წავიდა; ის გადადგა პრეზიდენტობიდან და მის ალღვას აირჩიეს პალატის თავმჯდომარე რესპუბლიკანელი გრევი; ხოლო გრევის ადგილას გამბეტა აირჩიეს. გამბეტა ამხედრდა კლერიკალების წინააღმდეგ და ხალხს გადასცა შესანიშნავი ფრაზა: Clericalisme—voila l'ennemi—კლერიკალიზმი—აი მტერი! პალატაში გაიყვანა იმათი საწინააღმდეგო კანონები და გამოაცემია საერთო ამნისტია დასჯილ კომუნარებისათვის. 1880 წ. წარმოსთქვა საჯარო სიტყვა გერმანიის წინააღმდეგ და ხალხი წააქეზა სამაგიეროს გადასახდელათ



(რევანში), რამაც გამოიწვია დიპლომატიური მიწერ-მოწერა. ეს არ მოეწონა გრევისა და ზომიერ რესპუბლიკანელთ, რის გამო გამბეტას ერთი საარჩევნო კანონპროექტი სენატმა უარჰყო. გამბეტამ მოისურვა პალატის დაშლა და ხელ-ახალი არჩევნების დანიშვნა, რაიცა შეასრულა მთავრობამ. არჩევნები მოხდა 1881 წ. და არჩეულ იქმნა გამბეტას მორჩილი 374 დეპუტატი. ახლა თვითონ მან მოისურვა მთავრობის სათავეში მოქცევა და „კულისებიდან მღერის“ შეწყვეტა. ნოემბერში მან პირველათ შეადგინა სამინისტრო და თვით შეიქმნა მინისტრპრეზიდენტი. მაგრამ მისი საგარეო პოლიტიკა (ინგლისთან კავშირი) უნაყოფო დარჩა და ამის გამო სამინისტროსაგან გადადგა. * მან დასცა მისი მემკვიდრე ფრეისინეს სამინისტრო და დიუკლერკის მეთაურობით შეადგინა მისი მეგობრების სამინისტრო. ის ამით ნიადაგს ამზადებდა პრეზიდენტის გადადგების და თავის თავის გაპრეზიდენტებისათვის, მაგრამ ამ დროს, 1882 წ. 19 დეკემბერს, ის შემთხვევით თავის მამულში გადაიკვალა. გამბეტა დიდის ამბით დაასაფლავეს და სამ ალავას სამი შესანიშნავი ძეგლი აუგეს (პარიჟში, კაპორში და დავრელში, სადაც ის გადაიკვალა).

ამ ნაირათ, გამბეტა ერთი უშესანიშნავესთაგანი პირია, რომელიც საფრანგეთის მესამე რესპუბლიკამ მოავლინა. მის სახელთან მჭიდროდ შეკავშირებულია ამ რესპუბლიკის დაარსება და განვითარება. ის იყო საშუალო ბურჟუაზიის ნამდვილი შვილი, მხოლოდ უფრო დემოკრატიული ლტოლვილებით. ის იყო ბურჟუა-დემოკრატი, მზგაესი საფრანგეთის დღევანდელი მინისტრ-პრეზიდენტის ვალდეკ-რუსოსი (რუსო გამბეტას კაბინეტში მინისტრათ იყო). საზოგადოათ, გამბეტასავით გავლენიანი, ნიჭიერი და მქვერმეტყველი მოღვაწე საფრანგეთს გავლილ საუკუნეში არ მოვლენია.

შინაური მიმოხილვა.

დამჟამათ ბათომის თვით-მართველობამ მიიპყრო საზოგადო ყურადღება. იქ ეს ერთი ხანია ქალაქის გამგეობის წევრათ იყო ბ. ივანოვი. და თუმცა 1898 წ. ის ხმოსნათ არ ამოირჩიეს, მაგრამ, სამაგიეროთ, ეს გაშავებული „ხმოსანი“ გათეთრებულ ხმოსნებმა გამგეობის წევრათ აირჩიეს. არ ვიცით, რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდენ ხმოსნები, როცა ქალაქს თავზე ახვევდენ ქალაქის მიერ დაწუნებულ კაცს, მხოლოდ ეს კია, რომ იმავე ხმოსნებმა ამ ერთი კვირის წინათ გაასწორეს თავისი წინანდელი შეცდომა და ბ. ივანოვი გამგეობის გარეთ დასტოვეს. ხმოსნებმა ახლა ნათლათ დაინახეს, რომ ამ მათ მიერ მოწონებული გამგის უწყებაში ყოველივე წესიერათ ვერ არის და კიდევაც დანიშნეს განსაკუთრებითი კომისია ბ. ივანოვის სამფარველოს, ქალაქის ბაღის მდგომარეობის გამოსარკვევათ. კომისიის წევრმა ბ. ჩხეიძემ 22 იანვარს მოხსენება წარუდგინა საბჭოს ბაღის შესახებ, საიდანაც სჩანდა, რომ ბაღს არავითარი პატრონობა არა აქვს, ანგარიშები თითქმის არავითარი არ წარმოებს, მცენარეები ნისიათ ურიგდებათ კერძო პირებს, ხოლო მცენარეების გაყიდვისაგან აღებული ფული რამდენისამე თვის შემდეგ შედის ქალაქის კასაში და სხ. და სხ. გარდა ამისა ბ. ივანოვს მეზღლისაგან მიუღია 180 მ.,


რაიცა დავთარშია ნაჩვენები, ხოლო ქალაქის კასაში-კი ეს ფული ბ. ივანოვს არ შეუტანია... ბ. ივანოვმა ყველა ამაზე განაცხადა, პასუხს შემოვიტან 29 იანვარსო. მაგრამ პასუხი არსად იყო, სამაგიეროთ, ყუთი დაიდგა გამგეობის წევრობაზე. რალა გასაკვირველია, ამდენ ფაქტებს მერე ის გამგეობაში აღარ აერჩიათ და სწორედ ასეც მოიქცენ ხმოსნები. ეს იყო და ეს.

* * *

მაგრამ ამ ამბავს კუდი გამოაბა ბათომის გაზეთმა, „ჩერნომორსკი ვესტნიკმა“ და მისმა რედაქტორმა ხმოსანმა პალმმა. ამ ვაჟბატონმა პირდაპირ გამოაცხადა: ივანოვი ჩინებული კაცია და თუ გააშავეს—ეს იმიტომ, რომ ის ივანოვია და არა ივანიძეო! და მოჰყვა ხმოსნების ლანძღვა-გინებას და ათას ნაირი ჭორების თხზვას უმაღლესთა საცნობელათ. ბ. პალმი რომ ხმოსანი არ ყოფილიყო—კაცი იფიქრებდა, ივანოვის გაშავების ნამდვილი მიზეზი არ იცის და ლობე-ყორეს ედებოა. მაგრამ ის თვით იყო მოწმე ბ. ივანოვის გასამართლების საბჭოში და იმის მაგიერ, რომ ეთქვა—ეს საზოგადო ფულის გაფლანგვააო, გამოდის და ამბობს, ჩააბარეთ ისევ მას ქალაქის ფულებიო! და თუ არ ჩააბარებთ, მოლაღატე იქნებითო! და მერე ეს მოსათმენია? ნეტავ ვინ მისცა უფლება ბ. პალმს, ვისაც ის მოისურვებს „კეთილი“ კაცის მოწმობა მისცეს და ვისაც არა, „საეჭვოსი“? და სად არის ისეთი საზოგადო დაწესებულება, რომელიც თავის წევრის ასეთ აღვირ-წახსნილობას მოითმენს და მას არ ეტყვის: გაჩერდით, წრეს ყოველივე რიგიანობისას გადასცდითო. და აი, ბათომის თვით-მართველობამაც იზრუნა თავის სახელის დაცვაზე და მის თავ-აშვებულ ხმოსანს დაუვიწყარი გაკვეთილი მისცა. 12 ამ თვეს იმავე კ. ჩხეიძემ საბჭოს წარუდგინა მოხსენება შესახებ იმ შეურაცხყოფისა და ცილისწამებისა, რომელსაც საბჭოს აყენებს ხმოსანი პალმი, როგორც რედაქტორი „ჩერნომორსკი ვესტნიკისა“. საბჭომ დიდის ყურადღებით მოისმინა ეს მოხსენება და, წინააღმდეგ ბოგოსლოცვის და პალმის სხვა ძმების პროტესტისა, დაადგინა: გაიკიცხოს გმირი პალმი და მისი გაზეთიო. ბათომის საბჭომ ამით დაამტკიცა, რომ მას შეგნებული აქვს თავისი მოწოდება და ახირებულათ არავის მისცემს ნებას შელახოს მისი მოღვაწეობა.

* * *

როგორც ქუთაისიდან იტყობინებიან, ქუთაისის ხმოსნებს ოთხი კანდიდატი დაუსახელებიათ ქალაქის თავის ადგილზე. რასაკვირველია, რაც მეტი იქნება კანდიდატთა რიცხვი და თვითეულ ხმოსანს საშუალება მიეცემა ბევრში ერთის ამორჩევისა, მით უფრო ადვილი იქნება რიგიან ალავას რიგიანი კაცის დაყენება. მხოლოდ სანამ ერთ ვინმეზე გაჩერდებოდენ, მანამდის საჭიროა იცოდენ, თუ რა ნაირი თავი ეჭირება დღეს ქუთაისს. შეიძლება კაცი ჩინებული ადვოკატი იყოს, ან სახელოვანი სწავლული, კარგი მწერალი და სხ., მაგრამ ქალაქის საქმეებისა არა იცოდეს-რა. ჩვენში, სადაც სამოქალაქო კულტურა სუსტია და თვით საბჭოებიც შესაფერათ მომზადებულნი არ არიან, ყოველივე შრომა ქალაქის საქმეებში ქალაქის თავს აწევს კისრათ; ის არის ქალაქის ნამდვილი მეთაური და თუ მას კაბინეტს იქით არსად გაუხედავს, თუ ახალი ცხოვრების მოთხოვნილებები არ ესმის,



ან თუ ესმის, იმდენი გამოცდილება არა აქვს, რომ მას ანგარიში გაუწიოს,—ერთი სიტყვით, თუ თანამედროვე საქალაქო პოლიტიკა შესწავლილი არა აქვს, ერთი მიზეზით, რა ნაირი მეთაური იქნება ის, რა ქალაქის თაობა შეუძლია მას გასწიოს? ქუთაისის გამგეები ერთობ ლაპარაკს მიეჩვივნენ, ხოლო საქმეს-კი ცოტას ვხედავთ. ახლა დრო არის ქალაქის მეთაურათ მიმართ საქმის კაცი გამოიხილონ და დაუსრულებელ შენ-ჩემობას ბოლო მოუღონ. ხოლო სანამ ასეთი კაცი დღევანდელ ერთ-ერთ პარტიის მეთაურთაგანი იქნება, მანამდის ჯახს და დავიდარბას ბოლო არ მოეღება. ჩვენის აზრით, ქალაქის თავი უნდა აირჩეს ამ უნაყოფო პარტიების გარეშე და არჩეულს მხარი დაუჭიროს ორივე პარტიის მიუდგომელ და საქმის მოყვარულ პირებმა. ამნაირათ, საქალაქო პოლიტიკაში გაგებული და პარტიათა გარეშე მყოფი კაცი—აი ვინ უნდა მონახონ ქუთაისის ხმოსნებმა, აი ვის უნდა ჩააბარონ ქუთაისი.

* *

რამდენამე პირმა სთხოვა ქუთაისის გუბერნატორს, ნება მოგვეცი გავიყვანოთ ტრამვაი ქუთაისს, ხონს და სამტრედიას შუაღ. ჩვენ არ ვიცით, ეს ჩინებული პლანი როდის განხორციელდება, მხოლოდ საჭიროა ჩვენმა ხალხმა ამ საქმეს ყურადღება მიაქციოს და ტრამვაის კეთებაზე თვითონ იზრუნოს. ტრამვაი—იქნება ის ცხენის, ელექტრონის, თუ ორთქლის—ერთი უიაფესი და ყველასათვის ხელმისაწვდომი საშუალებაა სოფლების ქალაქებთან დაკავშირების და საზოგადო მიმოსვლის განვითარებისა. განსაკუთრებით ეს გავრცელებულია შვეიცარიაში; აქ შარა-გზის ერთ გვერდზე დაგებულია რკინის გზის ვიწრო ლიანდაგი და ზედ ვაგონები (ზოგან ორთქლით, ზოგან ელექტრონით, ცხენით არსად) დასრიალობენ. ამისათვის საჭიროა პირველ ყოვლისა შარა, სწორი გზა, რაიცა ჩვენში ისე ბევრია, და მეორეთ—რელსები და მათი მოწყობილება. და თუ სახეში მივიღებთ იმას, რომ ასეთ გზებზე უფრო ნახმარ რელსებს აგებენ და ვაგონებსაც სულ უბრალო, მსუბუქი ხისას ხმარობენ, დავრწმუნდებით, რომ არც ერთი ეს ძვირათ არ დაჯდება. ასეთი გზების გაყვანა ძალიან ადვილათ შეეძლება სოფლის საზოგადოებებს და თუ ესენი ვერ შეთანხმდებიან, მაშინ ისევ კერძო პირთა კომპანიებმა უნდა იკისრონ. კომპანია გამოსცემს იაფ ფასიან პაის და სოფლებსაც მისცემს საშუალებას ამხანაგათ გახდომისას. ეს ისეთივე ამხანაგობა იქნება, როგორც მაგ. „შუამავალი“ და სხვებია, იმ განსხვავებით, რომ იქ ტრამვაის აწარმოებენ, აქ-კი პარკსა და სხვა საქონელს. ვიმეორებ, ასეთი ტრამვაის გაყვანა ისე ძნელი და ძვირი არ არის, როგორც ჰგონიათ, ხოლო შემოსავალს-კი დიდს მოიტანს, ასე, რომ პატრონიც ფულს მოიგებს და სოფლის ცხოვრებასაც შესამჩნევათ გააუკეთესებს. დროა, ჩვენი სოფლების გულ-შემატკივართ ამ საჭიროებას მიაქციონ ყურადღება და ერთ კუთხეში მანქანა, სხვების სამაგალითოდ, განხორციელონ.

სხვა-და-სხვა ამბები.

პეტერბურგიდან დეპეშამ ამბავი მოიტანა, რომ ოთხშაბათს, 14 თებერვალს, ნაშუადღევს 2 საათზედ, საერო განათლების მინისტრის მისაღებს ოთახში, სამინისტროს

შენობაში, როდესაც ტაინი სოვეტნიკი პოვი მოხოვნილებს ელაპარაკებოდა, ერთმა მათგანმა, გომელის მცხოვრებელმა პეტრე კარპოვიჩმა რევოლვერი ესროლა მინისტრს და კისერში დასჭრა.

ათ ამ თვეს დასრულდა ქართული თეატრის სეზონი ბ. ვ. გუნიას ბენეფისით. წარმოდგენილ იქმნა სუმბათოვის პიესიდან ვ. გუნიას მიერ გადმოქართულებული 4 მოქმ. ისტორიული დრამა „ცინის საიდუმლო“, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ ამ პიესას ისტორიული არა ახლავს რა, გარდა სახელებისა, და არ ვიცით, რატომ მოუსურვებია ბ. გუნიას მისი უთუოდ ისტორიული სახელით მონათვლა. ქალები და კაცების სიტყვა-პასუხი და ქცევა თანამედროვეა, ხოლო ავტორი-კი გვარწმუნებს—ირაკლი მეფის დროინდელია! აბა რომელი გასათხოვარი ქალი იტყოდა მაშინ, გვარიშვილობა ახლა არას ნიშნავსო, როგორც ამას ამ პიესის გმირი ამბობს! ალაგ-ალაგ მართლა დრამატიული სცენებია და მაყურებელზე შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ ყველა ამას აფუჭებს ის, რომ პიესა „ისტორიულია“... კარგათ თამაშობდა ქიზიყელი სარდლის როლს ბ. გუნია და მისი ცოლისას—ქ. ფე. მესხი. მობენეფისეს საჩუქრები მიაართვეს. ხალხი ბლომათ დაესწრო.

სამშაბათს, 20 თებერვალს, თფილისის არტისტიულ საზოგადოების თეატრში კნ. ნინო დავითის ასულის ჩოლაყაშვილის თაონობით ქართულ დრამატიულ საზოგადოების და არტისტთა დასახმარებელი თანხის სასარგებლოთ გამართულ იქმნება რუსული და ქართული წარმოდგენა და ბალი. დადგმული იქნება აგრეთვე ცოცხალი სურათები.

წარსულ 1900 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტს საუკეთესო თხზულებათათვის დაუჯილდოვებია ორი ქართველი სტუდენტი, სახელდობრ: გიორგი ყახხიშვილი—ოქროს მედალით და დავით უთენელაშვილი—ქების ფურცლით.

ქუთაისის ქალაქის საბჭოს ხმოსნებს 9 თებერვალს დაუსახელებიათ ქალაქის მოურავის კანდიდატებათ: პროფ. ვ. პეტრიაშვილი, დ. ბ. ხელთუფლიშვილი, გ. ზდანოვიჩი და მ. ქიქოძე.

„კავკასიის სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების“ დამაარსებელთ უკანასკნელ საზოგადო კრებაზე ხელახლა გადაათვალეირეს ამას წინად შემუშავებული წესდება, შეიტანეს შიგ რამდენიმე ცვლილება და წარუდგინეს თფილისის გუბერნატორს საერო განათლების სამინისტროში გასაგზავნათ.

ტყიბულის ქვა-ნახშირის მადნები შეუძენია სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს 1 მილიონ მანეთად. ამ ფულში ჩათვლილ იქმნება სახელმწიფო ბანკისა, ხაზინისა და გზათა სამინისტროსათვის მისაცემი ვალი, სულ 1,048,100 მან.

ადგილობრივ გაზეთებში დაბეჭდილია კავკასიის მთავარმართებლის საყურადღებო განკარგულება ამიერ-კავკასიის გუბერნატორებისა და ოლქის უფროსების მიმართ. ეს განკარგულება შეეხება იმ საადმინისტრაციო ზომების



გაუქმებას, რომლებიც, სხვა-და-სხვა მიზეზების გამო. შე-
მოღებულ იქნა უმაღლეს მთავრობის მიერ 29-30 წლ.:

1) გაუქმებულ იქნას კავკასიის უმაღლეს მთავრო-
ბის ის წინანდელი განკარგულებანი, რომელთა ძალითაც
საგუბერნიო და სამაზრო მთავრობებს განსაკუთრებული
უფლებანი ჰქონდათ მინიჭებული, ხოლო იმ შემთხვევებ-
ში, როდესაც ამა თუ იმ ადგილში საჭირო შეიქნება
რომელიმე არა ჩვეულებრივ ზომის მიღება, გუბერნატო-
რებმა განსაკუთრებული მოხსენებანი უნდა წარმოამდგი-
ნონ; და 2) უფლება მიეცეს საგუბერნიო და სამაზრო
ადმინისტრაციას შეიპყროს ხოლმე ისინი, რომელთა ბო-
როტ-მოქმედების შესახებაც საკმაო ცნობები აქვს შეკრე-
ბილი ადგილობრივ ადმინისტრაციას და ყოველი ასეთი
შემთხვევა დაუყოვნებლივ მაცნობოს მე. ამასთან გუბერ-
ნატორებმა უნდა წარმოადგინონ მოხსენება, რომელშიაც
დაწვრილებით აღნიშნული უნდა იყოს ის მიზეზები, რა
მიზეზებითაც შეიპყრობილ იქნა ესა თუ ის ბოროტ-მო-
ქმედი.

რკინის გზათა გამგეობის უფროსმა განკარგულება
მოახდინა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც რკინის გზა-
ზედ მძიმე ავადმყოფი აღმოჩნდება და რკინის გზის მკურ-
ნალი კი სხვაგან არის, ადგილობრივმა ფელდშერმა და
სადგურის უფროსმა უეჭველად დაიბაროს ხოლმე მახლო-
ბელს ადგილიდგან კერძო მკურნალი. ამას გარდა, ყვე-
ლა სადგურებსა, სახელოსნოებსა და სხვა ადგილებში
მოსამსახურეთა საყურადღებოდ განცხადებანი უნდა იქმ-
ნას ვაკრული; ამ განცხადებებში უნდა იყოს: რომელი
მკურნალი სცხოვრობს მახლობლად და რომელ შემთხვე-
ვაში შეუძლიანთ მოსამსახურეთ მიიწვიონ გზის ხარჯით
ეს კერძო მკურნალი.

ეს ორი კვირა იქნება, რაც ირაკლის აბანოში მე-
ქისებმა რიცხვით 36 კაცმა მუშაობაზე ხელი აიღეს. მი-
ზეზი ამისა ყოფილა ის, რომ აბანოს პატრონს წაუშა-
ტებია ფასები, რომელსაც მექისეები იხდიდნენ მის სა-
სარგებლოთ.

აგერ ეს რამდენიმე წელიწადია, რაც ავადმყოფო-
ბისა გამო ყოველად უმწეოთ დარჩენილა ალექსანდრე
სუჯიაშვილი, რომელიც წინათ მუშათ მსახურებდა ვლა-
დიკავკაზის რკინის გზაზე. გაჭირვებაში ჩავარდნილი მუ-
შა სთხოვს ქველ-მოქმედთ რამე შემწეობა აღმოუჩინონ
მას. თვით მისი ადრესი ვოგზალის პირდაპირ, ავალიანის
ბუფეტში.

კ მ რ ი ს კ მ ნ დ მ ნ ს ი ა .

ს. ხაშვი (თფილისის მაცნა). ვისაც-კი გაუფლავ ს. ხაშვი-
სკედ, ან შორიდან დაუნახავს, ის დარწმუნებული გეტყვით, რომ
ხაშვი მდიდარი სოფელია და მართლაც, მისი გარეგანი შესედე-
ლობა გათქმებისებთ ამის: მშენიერი ორ-სართულიანი სახლები
კრამიტით დასურული, შეჯგუფული ქაჯაქურათ ერთათ, კარშე-
შო შემრტეული აქვს ვენახები, რაც, ერთათ შეერთებული,
მშენიერს სურათს წარმოადგენს. შუა სოფელში ჩაჭიმულია
უზარმაზარი სასოფლო შენობები, სდაც მოთავსებულია პურის
შაღაზია, სოფლის სამმართველო, სამინისტრო ერთ-კლასიანი
სკოლა და ბიბლიოთეკა. არა ნაკლებათ მშენიერს სოფელს
ათამის განაღებული დუქანი (ამათში ერთი სასოფლო დუქანიც

ურევია, რომელშიც კერძო ზირი ვაჭრობის), არის კიდევ სამრეწოლო
სასწავლებელი იანუ ნათლის-მცემლის უდაბნოსი. მამულებს
სამ ქება არ უნდა, საკმაო გლეხს ქქონდეს მსსსედი დესეტი-
ნისა, რომ ოთხი-ხუთი საზაღბე ღვინო მოუვიდეს—(აქურთი სა-
ზაღბე 47 ვედროა). ახლა ნახეთ ხაშვილი ქალი და კაცი დღე-
ობაში ან კვირა დღეს სასოფლო მოუდარსკედ, როდესაც ღვინო
გაიმართება ხოლმე. ხაშვილი ქალები ისე ირთებიან, რომ სრუ-
ლებით ვერ გამოარჩევეთ მოქადაქე მადალ საზოგადოების ქალები-
ბიდან. ამა, რასაკვირველია, ამათ შესთერათ კაცებმაც უნდა
ჩაიციან. ეველა ამის მხსნეული კაცი იტყვის ს. ხაშვი მდიდა-
რია... მაგრამ ნამდვილათ-კი ასე არ არის. ვისაც-კი უნახავს
მამასხლისის აბა, „ადმსრულებლის იურცლებით“ სავსე, ის
მაგას აღარ იტყვის. შვიდასი მეტი ადგილობრივ მოსამართლეთა
„იურცელი“ ექნება სასრულებელი და რამდენი კიდევ „იურც-
ლოთა“ ქმართებთ, რომ იანგარიშის კაცმა, გაიგებს, რა დიდა-
ძალი ვალი ქმართებთ ხაშვილებს. იშვიათია ისეთი კაცი, რომ
უვალე იყოს (მე სხვეში არა შეავს რასაკვირველია, სოფლის
მოვასშენი, რომელთაც გაცემულებს მეტი არა აქვთ-რა), ოცი-
ოცდა-ათი თუმსი მაინც არ ემართოს. ის თუმსობით ხომ ბევრს
ქმართებს. საერთო შემოსავალი სოფლისა უდრის 1000 საზაღბეს
საშუალო მოსავლის დრეს და რაცა კარგია, მაშინ ხომ 1500-
მდისაც აღის. მაშ რა იქნა ეს შემოსავალი, სდა მდის ხაშვი-
ლებს ეს ქანება? ჯერ გაიხსენეთ ზემოთ მოხსენებული ხასიათი
ხაშვილებისა, მათი ვალები („იურცლებით“) და ზედ დაუმტკეთ
ისიც, რომ არა სოფელში არ იქნება ისეთი მოდავიდარბე და
ჯობრიანი ხაზნი, როგორც აქ არის. ერთ უბრალე საქმეზე
ისეთს დავი-დარბას ასტესავენ, რომ ზაღაბმდის მიაღწევს. რა-
საკვირველია, ხაშვილებს კაცს არა სცადიან მუდამ იაროს სასა-
მართლოებში (ან გზები კარგათ არ იცის) და აი ამ გაცირვე-
ბისაგან მას იხსნის გულ-შემატკავარი ღვთისნიერი ზირი, რომ
მედიც სუნით დაქებეს ამგვარს საქმეს. ს—ლი და ქ—ლი გა-
თქმულნი არიან მთელს სოფელში, როგორც უკეთესი ვეკილები.
ესენი ამხსნაგებ არიან, თუმცა უფელთვის ვითომ მოზირდნი-
რენი გეტყვიან; როდესაც წასწავლებიან ამისთანა საჩანგლე ზი-
რებს, ერთი ერთის მხარეზე დგება ვეკილად, მეორე მეორისა-
სკედ. თითოეულს მთგანს ესენი ჩამოართმევენ შტეიცე „კანდა-
რანტს“, რომ თუ საქმე მოიგო, „კლიენტმა“ უნდა ჩააბაროს
მას ამდენი და ამდენი (მაგ., ათი ან რვა) საზაღბე ღვინო. წი-
ნადმდეგ შემთხვევაში შესთერი ჯარიმა... რასაკვირველია, ან
ერთი გლეხი მოიგებს, ან მეორე და მამასდამე ან ერთ ვეკილს
ერგება გასამრჯელო, ან მეორეს და ისინი ამხსნაგურათ გაიყო-
ფენ დავლას. სშირად ეს მათი გასამრჯელო გაუთავებულ გა-
დაუწვევტელი ხდება, თუმცა უფელ წლობით ეხიდეიან.

დაის, ეს დაუდევრობა ცხვირში სცემს ხაშვილ კაცს. რომ
ვსთქვათ, არც ისე უფიცია არ ესმოდეს ავი და კარგია: ესმის
კი, მაგრამ რაკი ერთი უურს მიიღვრენს, მორჩა, ვითომ არც-
კი გაუგონია... აი თუნდა ავიდოთ წელის გამოყვანის საქმე.
ერთი-კი თქვეს, განახენიც დაადგინეს, მაგრამ თონე განუღდა
და პური აღარ ეკვრის. ეგრე ემართებათ სხვა საქმეებშიაც. ამავე
მიზეზით ერთხელ მოცემული თამასუქი აღარ ახსრავს და რა-
დესაც ერთი ორად ნაბარტები თავს დაატყდობა, მაშინ-კი
შეინიშნება. ეველა ამას დაუმტკეთ ხაშვილი კაცის მოთხოვნი-
ლება ცხვრებაში: ოჯახის მოწყობა, ჩაცმა-დასურვა, ჭამა-სმა.
ხაშვილებს ძალიან უყვარს ქეიფი და დრეს ტარება, შინაც კაი
სადილი. უფელ დღე რომ ხორციელი ქქონდეს, უარს არ
იტყვის. უბრალე მხსნილ დღეში რამდენიმე ძრესა და ცხვარი
გასადება დუქნებში. ქალები კიდევ ისე არიან ჩაცმა-დასურვით

გატარებულნი, რომ რასაც ცხადი უიღუფობენ, ოს იმდენს ქმრების ხუმათ ათმევენ აქურს ვაჭრებს. თუ ფული ვერ მოიკლეს, ზურს ჩაიტანენ წყლის კაცი, ვინ რას შეატყობს, ვითომ წყალზე მიდის. ჩაჩნი ურებიც ჩაღის ფასად იღებენ კერე მოტანიდს ზურს ან ღვინოს, რადგან იცინან, რომ უკან ვეღარ წაიღებენ, უთუთ იქ გაუშვებენ.

სწორედ ხაშმხედ შეიძლება ითქვას ქართული ანდაზა: შორიდან მტერს მოკლავს ანლოდანი მიფარესო.

ხაშმელი.

სახალხო თეატრის დაარსება თფილისში.

რადგან ამ ბოლო დროს დაზარადა ასტუდა იმის შესახებ, თუ როგორ დაარსდა სახალხო თეატრი და გაზეთ „ცნობის ფურცლის“ თებერვლის ნომერში წერილია დაბეჭდილი ბ. სახალხო თეატრის „მუშაკთაგანისა“, რომელიც ხალხს აუწყებს იმას, რაც თითონაც არ იცის და არც დამსწრე უფიქრია, ეხლა-კი ნებას ვაძლევ ჩემს თავს, რომ ამ საგანზე მეც ხმა ამოვიღო და ვაუწყო საზოგადოებას ის, რაც იყო და რის ერთი მუშაკთაგანიც მეც ვიყავი.

ჯერ კიდევ 1892 წ. ხელახლანთა სტენის მოყვარენი უბნებში გამართავდით წარმოდგენებს. წარმოდგენები იმართებოდა სტენის მოყვარულთა-მიერ დაქირავებულ შენობებში უფასოთ. ამ ხანებში ჩვენი დამაბრკელებელი მიზეზი იყო ის, რომ მოთამაშე ქალები არ გვეყვდა და აგრეთვე საქმეს გვიჭირვებდა შენობის, ნება-რთვის, და სხვა ამგვარი საქმე. მაგრამ სტენისადმი სიყვარული იმდენათ იყო გაღვივებული ჩვენ შორის, რომ მოვისურვეთ მუდმივ გვემართა წარმოდგენები და სამუდამო ნება-რთვა აგვე-დო. დაზნისხეთ კრებები, შეკადრებულ წესდება¹⁾, წესდებაში აღ-ნიშნული იყო მიზანი ამხანაგობის: გამართვა უფასო წარმოდ-გენების, დაარსება წიგნთ საცავ-სამკითხველსი და სხ.²⁾. რად-განაც ამხანაგობას საშუალება არა ჰქონდა, ამიტომ დავადგინეთ, რომ თვითთველ წევრს შემოეტანა სწავრო ფული თვეში ათი შაური. სასტიკათ აკრძალული იყო ათ წუთზე მეტი დავიანება რეპერტიტებზე, როლის უცოდინრობა, რეჟისორისა და ამხანა-გობის წინააღმდეგობა და სხ. ვინც ამას არ შეასრულებდა, ის იხდიდა ჯარიმას და ეს ფული ხმარდებოდა სასტენო საჭიროებას. წესდების მიღების შემდეგ, ამოვირჩიეთ თანამდებობის ზიანი: 1) ვ. ჯანიაშვილი კრების თავმჯდომარეთ და გამკეთ 2) ი. იმუღაშვილი რეჟისორათ და 3) ა. ნიკოლდსოვი მფარეთ (სა-წევრო და ჯარიმების ფული ებარა). მაშინ ამხანაგობაში ირიცხე-ბოდენ: 1) ი. ძნელაშვილი, 2) ვ. ჯანიაშვილი, 3) გ. ჯაბაური, 4) დ. შველიძე, 5) ი. იმუღაშვილი, 6) ი. ინასროძე, 7) ი. სუხიშვილი. 8) ილიკო სუხიშვილი, 9) მ. თუმელოვი. 10) დ. სხირტლაძე. 11) გ. ურმანიშვილი, 12) ა. ნიკოლდსოვი. რაკი ცოტათი ასე გაწეს-რიკდა საქმე, ამხანაგობამ გადასწავლია მუდმივი სახლი ემოვა წარმოდგენის სამართავათ. ცოტოდენი მოსაზრების შემდეგ, ურდადება მივაქციეთ ავტალის ქუჩაზედ ხოლერობის დროს საჩაიეთ უფიქრ შენობას.

ეს ადგილი ეველას მოეწონა, მაგრამ მის ხელში ჩაგდებას ვეჭვობდით; ამხანაგობამ მაინც ამოიჩნია საში ზიანი. 1) ვ. ჯანიაშვილი, 2) ა. ნიკოლდსოვი. 3) გ. ჯაბაური და გ. ჯაფარიანი ბ. ხუდადოვანს, რადგანაც შეტუბილი გვექონდა, რომ ამ შენო-ბას ბ. ხუდადოვი განაკება. ბ. ხუდადოვამ სიამოვნებით მიგვიღო

1) ეს წესდება იწახება ვ. ჯანიაშვილის სახლში.

2) ამ მიზნით მოგროვილი წიგნები დღესაც იწახება ბ. შვე-ლიძის სახლში.

და მოეწონა კიდევ ჩვენი მიზანი. შემდეგ გვითხრა: თუ თამაში შეგიძლიათ, წადით, მოემზადებით და მე საქმეს მე მოგინებო-სებთო. ბ. ხუდადოვის დაზირებამ ეველანი ადვოკატოვანს და ბუ-ჯითად შეეუდექით ზიანის არჩევას და მოვამზადეთ კიდევ. ამ მომზადების შემდეგ ბ. ხუდადოვამ მიგვიწერა გ. მ. ა. არღუ-თინისკისთან; იმისა და ვ. ქართველავის ქალას დახმარებით შევი-ძინეთ ნება-რთვა წარმოდგენის გამართვისა და შენობაც დავითმეს. ამხანაგობამ მაშინვე შეუდგა სტენის გაკეთებას და, რადგანაც ხელახლება ისევ ჩვენ ვიყავით, ამიტომ მართო მასალა-და იყო საჭირო, რაც 17 მ. დავგვიჯდა. მუშაობით-კი ჩვენ ვმუშაობდით. ამხანაგობათ თეატრი მოვამზადეთ და ზირველი წარმოდგენა გაი-მართა სახალხო თეატრში 1893 წ. დაიღვა „რაც გინახავს ვუ-ღარ ნახავ“ უფასოთ. კატინას როლის მოთამაშეთ მოვიწვიეთ ერთი მოსარეცხე დედა-კაცი, გვარად იმედოვი, რომელსაც საში მანათი მივეციეთ.

ამ წარმოდგენას ხალხი დიდ-ძალი დაესწრო და აღტაცებაც გამოიწვია მათ შორის. ჩვენც, რასაკვირველია, სიმხნე მოგვემატა და საქმეს უფრო ერთგულათ შეეუდექით. მეორე წარმოდგენა იყო „და-ძა“³⁾. ძლიერ დავკვებმარა ქალ. ეკ. ასათიანი, რომელს-მაც გააბედვინა ერთ თავის მოწაფე ქალს (ეკ. იოსელიანი) ჩვენთან თამაში მარინეს როლი. მესამე წარმოდგენა იყო „არსენა“ აქაც ეკ. ასათიანის შემწობით მონაწილეობა მიიღო ეკ. წულუ-კიძემ (სიღინას როლი). მაშინ ამხანაგობაში ივეგნ ისევ ის ზემოთ მოხსენებული ხელახლება. ეხლა-კი მთლათ განაჩნა ჩვენი საქმე, რადგანაც ორი მოთამაშე ქალი შევიძინეთ (ეკ. იოსელიანი და ეკ. წულუკიძე). მეოთხე წარმოდგენა იყო „ადვოკატები“; ამ წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს ქ. ან. ჩაჩიაძემ და მ. ხმადაშვილმა. მესამე წარმოდგენა იყო „ზეზო“, ამ წარმოდგე-ნაში მონაწილეობა მიიღო ვინაჟ. ს. ციციშვილმა. როგორც ხე-დავთ, ქალთა ინტელიგენცია ხელ-ხელა დავიანლოვეთ და გვემზა-რებოდენ თამაშობაში, ხოლო სათავეში ხელახლება უდგენ და საქმეც კარგათ მიდიოდა.

დღეს-კი გამოდის ბ. „მუშაკთაგანი“ და გვარწმუნებს, რომ „სახალხო თეატრში ზირველათ თამაშეს „ჯერ დანხონენ მე-რე დაქორწილდნენ“, „ზეზო“ და რამდენიმე ვოდველიო, და თა-ნაც დასძენს რეპერტუარი სუსტი ჰქონდათო და სხ. თუ რამდე-ნათ დარიბი იყო მაშინ რეპერტუარი ან და ზირველათ რა ვი-თამაშეთ, ეს ზემოთ ჩამოთვლილ ზიანებიდანა სჩანს. ძალიან გვაკვირვებს ვინატანდა ძალას „მუშაკთაგანს“ ტუელები ეწერას!..

უფველ წარმოდგენას ხალხი დიდ-ძალი ესწრებოდა. ურდა-ღება დაიმსახურა ჩვენ მიერ დაწეებულმა საქმემ და გაზეთებშიაც იყო დაბეჭდილი რამდენიმე რეცენზია. მაშინ-კი ურები ატკივტა ჩვენს „ინტელიგენცია“ და მოანდამა ჩარეულიო ამ საქმეში. ამისთვის შეიყარა 30-მდინ ინტელიგენცია, დანიშნეს კრებები, მიგვიწვიეს ჩვენ და გვეითხეს საქმის ვითარება⁴⁾. დავიწვეთ და-ზარაკი. ვლანარაკობდით, ვლანარაკობდით და მხოლოდ ვლანარაკ-ობდით; ამ დაზარაკს მოანდამეს რამდენიმე კრებები და ბო-ლოს ქ. მ. ა. არღუთინსკიმ და ქ. ვ. ქართველავმა თავი დავგა-ნებეს (რომელნიც ნება-რთვას იღებდნენ), რადგანაც გაიკეს, რომ ინტელიგენცია უფვე ჩაურა ჩვენს საქმეში და დარწმუნებულნი ივეგნ, რომ ნება-რთვას ისინი აიღებდნენ. ბოლოს ერთი ორი კრებაც ამ ცალიერ დაზარაკს მოანდამეს და სწორეთ ამ დროს

*) მაშინ-კი დავაწვეთ თითო შაური შემოსვლის ფული რადგანაც კასში მოგროვილი ოთხი ოღმანი უკვე დავგებარჯა და მეტიც აღარ იყო.

4) სწორეთ ამ კრებიდან მართვა-გამგეობა გადადის ინტელი-გენტთა ხელში.



ადგივრდადეს სხალხთა თაქრში წარმოდგენების მართვა. წარმოდგენები შეჩერდა.

ბ. მუშაკთაგანი-კი თავის წერილში ხალხსაწმუნებს, რომ საქმე ისე სურსათ იყო დაყენებული, რომ მალე სრულათაც ჩაქრდა და, თუ ჩვენ არა, ხელისუფლები შექმნიდნენ საქმეს ისე, როგორც დღეს არის. ამაზე მეტი ტყუილი შეიძლება? ჩაქრების მიზეზი განა ჩვენ ვიყავით? და ახსენებენ რით ამტკიცებენ, რომ ხელისუფლებს აღარ შეეძლოთ თავიანთ მიერ დაწესებულ საქმის წინ წაყვანა?

მას შემდეგ გაიარა ერთმა წელიწადმა, რაც ადგივრდადეს თამაშობა და 1897 წ. ისევ დავიწყეთ წარმოდგენის მართვა (ხედავთა მგონი ი. ქუთათელაძემ აიღო). შესდგა ისევ კომისია, განაწილეს შრომა და კარდასწავლებს ზეისების თარგმნა და რამდენიმე წაიღო კიდევ რუსული ზეისები გადასათარგმნავთ. ჩვენც იმედი მოგვცა ახალი ზეისების შექმნის, მაგრამ იმედმა ტყუილად ჩავიარა: არამც თუ ზეისის გადასათარგმნა, არამედ მთარგმნელებიც-კი ადგივრდადნენ. ხელისუფლების ჩხეკას და ახრს ამა თუ იმ ზეისზე გასაყვადი აღარ ქრებდა, თუმცა უგულვებურად მტრ-კი ჩვენ ვმუშაობდით. ვხედავდით, რომ „სექციის“ წევრებთან იმხარ ზირებს იჩხეკდნენ. რომლებმაც არც-კი იცოდნენ სად იმართებოდა წარმოდგენა (სახელებს ახლა აქ აღარ მოვიყვანო)*. ზოგი ხელისუფლები კიდევ გააგდეს, მაგ. ი. ძნელაშვილი და მ. თუშულავი, ზირველმა რეპრეტაციასად ავადმყოფობის გამო რამდენჯერმე დაიგვიანა, ხოლო მეორემ-კი შენიშვნა მისცა ზეისის ამორჩევაზე. უგულვად ამის შემდეგ სავიწროვლო აღარ არის, რომ ამ სხალხთა საქმეს ჩამოვშორებოდით...

ერთი ხელისუფლები, გ. ჯაბაური.

ამავე საგანზე გვწერენ: „ცნობის ფურცლის“ № 1377-ში (8 თებერ. 1901 წ.) მოთავსებულია წერილი სხალხთა თაქრის შესახებ ერთი სხალხთა თაქრის მუშაკთაგანის ჟურნალ „კვალის“ წინადადება. მე არ მინდა შევეხებოთ თქვენს წერილს, იმის საფუძვლიან—უსაფუძვლო—ბასს, ჩემი აზრით შევეხებოთ მხოლოდ წერილის იმ ადგილს, სადაც შემხსენებული ზირი ჩემსად ღაზარაკობს. იგი სწერს: „სხალთა შორის სექციის თხრობით და წარდგენილებით კომისიაში მიიღეს და სექციის წევრათაც აირჩიეს ხელისუფლები ბ. შველიძე. „კვალის“ ზეილებისტი აქედან დაინახავს თუ როგორ „ჩაიგდო ინტელიგენტებს“ ეკ საქმე და სხვა... უნდა მოგახსენოთ, რომ უგულვად ეს სიმართლეს მოკლებულია. მე სექციის წევრათ არა დროს ამორჩეული არ ვყოფილვარ, რაზედაც დამემოწმებინა, როგორც უგულვად მაშინდელი სექციის წევრები, აგრეთვე ისინი, რომელნიც ამ საქმეს ახლო უდგნენ. მართალია, იყო მხოლოდ ღაზარაკი ჩემს ამორჩევაზე სექციის წევრათ, მაგრამ არ ვიცი რა მიზეზების გამო, ღაზარაკი ღაზარაკადვე დარჩა და იმ ხანებში მომხდარ არჩევნებზე სექციის წევრებთან ამორჩიეს ზოგიერთნი ისეთნი ზირნი, რომელთაც მანამდის არავითარი მონაწილეობა არა ქრებდათ სხალხთა წარმოდგენის გამართვაში; მაგალითად ბ. გიორგი ციმაკურიძე, ბ. ვახვახიშვილი და სხვა. არ კი გეგონათ, ბატონებო, რომ ჩემთვის სხალხთა და სხალხთა იყო სექციის წევრად ამორჩევა, ეს სხალხთა იქიდანაც, რომ ამ არჩევნების შემდეგ კიდევ კარგა ხანი ისეთსავე მხურვალე მონაწილეობას ვიდეუ-

ბდი სხალხთა წარმოდგენებში, როგორც არჩევნებამდის. ამაზე დამემოწმებინა უგულვად ისინი, რომელნიც ასე თუ ისე მონაწილეობას იღებდნენ სხალხთა თაქრში. თუ რომ შემდეგში მე იძულებული გავხდი თავი დამენებებინა სხალხთა თაქრისათვის, სულ სხვა მიზეზები იყო და არა ის, რომ მე სექციის წევრად არ ამორჩიეს. უგულვად ამას ვამბობ იმიტომ, რომ მივიჩნივარ დასჭირდა ბ-ნს მუშაკთაგანს ასეთი ტყუილის თქმა? რა მიზანი ქრებდა? ალბათ ის, რომ დამტკიცების „კვალისათვის“, რომ სხალხთა წარმოდგენის გამართვაში ხელისუფლებს და ინტელიგენტებს თანხაბრი ხმა ქრებდათ. თუ ეს ასეა, ვერაფერი დამტკიცება, თქვენმა მხემ!

სტენის ძველი მოყვარე დათიკო შველიძე.

სადგ. ალექსანდროპოლი.

რუსეთის ხელისუფლება.

დამოღობ ხანებში გზათა სამინისტრომ ურდადებდა მიაქცია სკოლების გამართვას რკინის გზებზე მონაწილურე ზირთა შეილებისათვის. იმისი ხარჯით გაუხსნათ ამ ყვამთ ხარკვის რკინის გზის თხის სდგურზე სკოლები, სადაც წარსულ წელს სწავლობდა 700 უმაწვილზე მეტი რკინის გზის დაბალ მონაწილურეთა შეილნი. ამ წელსაც კიდევ უმატებენ ერთს ამგვარს სკოლას სადა. მეტროპოლზე. ამ სკოლებისთვის ამენებენ მშენებნიერ ქვითვირის სხალხებს.

— ხარკვალე კაბიტალისტის ხარიტონეკის ერთს ქარხანასთან უნდა დაასრულონ დღისით თავმსაფარო იმავე ქარხანაში მამუშაკეთა შეილებისთვის. ამ თავმსაფართან გამართავენ სკოლას, სადაც სწავლიან სხალხთა სხალხთა და ხელობას, ქალებს-კი—ხელსაქმეს.

— რამდენსამე სამეურნეო სხალხთაგანს ურამდგომლობა აღუძრავს სამიწათმქმელო სამინისტროში იმის შესახებ, რომ გაათავისუფლონ ყოველივე კარდასხალხისაგან ნავითთ მომუშავე მანქანები, რომელნიც იმართებინა მუერნობაში; აგრეთვე იმაზე, რომ თანდათან დაეკლოს გადასხალხი იმ სამეურნეო მანქანებს და იარაღებს, რომელთა ხმარებაც ძალიან გავრცელდა რუსეთში და აღარ საჭიროებს სადამოყნო შივარველობას.

— თინასითა სამინისტროში შესდგა და შეუდგა მუშაობას კომისია სხალხთა-და-სხალხთა დაწესებულებათა წარმომადგენელთაგან. ამ კომისიაში უნდა დასახლოდონ ანაზსეუდ ის აქტები და დოკუმენტები, რომელნიც სკოლებო გადასხალხის ექვემდებარება, — აგრეთვე განსახდვროს ამ გადასხალხის ზომას თითო აქტზე.

— წარსულ წელს მოუმზადებიათ ძალიან ბევრი ქალაქის ფული მხეთის დირსებისა, რომლის საჭიროებას თითქმის უგულვად გრძობდა. ეს ქალაქის ფული ძალიან მოკლე ხანში გამოვა ხმარებაში.

— ცნობილ რუსის წიგნების გამომცემელ ფ. ზვლენკოვის ანდროძის ამრულებელთ გადაუწვევით გასხალხს 120 სხალხთა ბიბლიოთეკა სამხრეთ-დასავლეთის გუბერნიებში (კიევისა, ზოდოლისა და ვოლინიისა). ამ საქმის გაძღობა მიუხდვიათ წერა-კითხვის სხალხთაგანისათვის, რომელნიც თავის მხრივ დაჭმარებია 500 მანეთით. ეს ბიბლიოთეკები აღნიშნულ გუბერნიების სოფლებში გამართება თანდათანობით, რამდენისამე წლის განმავლობაში, იმისდა მიხედვით, თუ როგორ გაიუილება შემწირველის ქრება.

*) სექციის ზოგმა წევრმა ახლაც არ იცის თუ სად ან რანაირათ იმართება წარმოდგენა. აი, მაგ., კვირას, 28 იანვარს, წარმოდგენა იყო გამართული, ხოლო კვირასავე „ცნობის ფურცელში“ აცხადებდნენ, რომ შაბათს, 27 იანვარს, წარმოდგენა იყო გამართული, ითამაშეს ეს და ეს პიესა და სხ...

ს ა მ ლ ე ა რ გ ა რ ე თ .

ონფლისი. ინგლისის მთავრობის განზრახვა აქვს ჯამაგირი მთუმბრის სახლ მეფის ედუარდ მე-VII-ის. მაგრამ წარლამენტში ბუერი დეპუტატი თანხმა არ არის ამისი. მათიზრით, ის ჯამაგირი მეტათ დიდა, რომელიც ამ უმათ ეძლევა მეფის. ჯერ კიდევ 1884 წელს ლაბორერმა განაცხადა, რომ მეფის ჯამაგირის შესამჩნევი ხაწილი ისეთ თანამდებობის ბირთ ეძლევათ, რომელიც ფაქტიურათ არავითარ თანამდებობას არ ასრულებენ. აი ზოგიერთი ნიმუში ამისა. ლორდ კაბერჯენს ეძლევა 2,000 გირვანქა სტერლინგი, ამდენ-ამდენივე ეძლევათ ლორდ სენეშალს და შტ.ლ.ამებისტრის; ეგერ-შეისტრის ჯამაგირი უდრის 1,700 გირვანქას. ამ ჯამაგირების გარდა ყველა ამათ ეძლევათ მუქთი კარეტები და ლიფრების ლაქები. ამათ გარდა რვა ფლიგელადიუტანტი იღებს ერთად 5,616 გირვანქა სტერლინგს. არის კიდევ მრავალი სხვა ვითომ თანამდებობის კაცი, რომელთაც აუარებული ჯამაგირი ეძლევათ, მაგრამ ყველაზე უარესი ის არის რომ 15,000 გირგ. სტ. ინარჯება იმ ძაღლებზე, რომელთაც ინახვენ მოშინაურებულ ირემზე სხანდირთ. აქ საყურადღებოა ისიც, რომ შარშან დაკანონებულ იქმნა აკრძალვა მოშინაურებულ ცხოველებზე ნადირობისა და აი ამ კანონს ყველაზე უწინ მეფის სასახლეში არღვევენ.

საზრანგეთი. ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს მილიერანს ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში შემოუღია 8 სხათის სა-მუშაო დღე და 5 ფრანკი უკიდურესი დღის ქირა.

— საფრანგეთში უკვე დაიწყო ხალხში მოძრაობა ანტიესე-მიტივის და ნაციონალისტების წინააღმდეგ. ამას გვიჩვენებს უკანასკნელათ აქა-იქ მომხდარი დეპუტატთა არჩევნები. ზარაში ცნობილი „ურათა მკამელი“ მაქს რეჟი დაამარცხა სოციალისტმა ალემანმა, ნიში ნაციონალისტი ბერნის-სოციალისტმა ფურნიემ, ხოლო ამიენში სენატორათ აირჩიეს რესპუბლიკანელი რაკე, წი-ნააღმდეგ მონარქიელისა. ყველა ამსაფრანგეთის მოწინავე გა-სეთები ხალხის გამოფინებულათ აღიარებენ.

— ზარაში მკერვალ ქალებში ამ უმათ დიდი მოძრაობაა. მრავალ სამკერვლო ფირმაში მუშაობა შეჩერებულია და მკერ-ვალი ქალები ქირის მომატებას და სამუშაო დღის შემოკლებას თხოულობენ. ხუთმა ფირმამ უკვე დააკმაყოფილა მკერვალთა მოთხოვნილებები. ქალებს მიემხრენ კაცებიც და ასე ორივე სქე-სის ტანისამოსების კერვა შეჩერებულია. გათიცილთა მეთაურებია ფრანგები, ხოლო უმრავლესობა-კი სხვა-და-სხვა ტომის ხალხი ყოფილა, განსაკუთრებით ბურია ებრაელები. ასე რომ მათ ყრი-ლობაზე ოთხ-ხუთ ენაზე ლაზარაკობენ და მიუხედავთ ამ მრ-ვალ ენებისა ჩინებულათ ესით ერთმანეთის გაჭირვება და ერ-თათ მოქმედებენ. საზოგადოება თანაგრძობით ეკიდება მათ. ყრილობის გათავებისას მუშა ქალებს ვიღაცამ თითო კოლოფი ტებილეულობა დაურია.

— სამინისტროს მიერ წარდგენილი 1901 წ. სახელმწი-ფოს შესავალ-გასვლის ანგარიში მიიღო ორივე პალატამ—ზარ-ლამენტმა და სენატმა. ეს ნიშნის სამინისტროს სიმკვიდრის და ხანგრძლივობის.

ბარმანია. გერმანიის სალანარაკო საგანი ამ უმათ ბაჟე-ბის მომატების პროექტია. მრეწველ-ვაჭარნი და მუშები მთელ გერმანიაში მიტინგს მიტინგზე მართავენ ამ პროექტის წინა-აღმდეგ. ბერლინში ერთ სადამის მომხდარ 30 სოციალ-დემო-კრატულ მიტინგზე მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილება: ზურზე და სხვა სურსათზე ბაჟების მომატებაში ყრილობა ხედავს სა-ხელმწიფოს მკაცრ უსამართლობას და, რამდენათაც ამაში და-

ინტერესებულია აგრარიელები, უზომო კლასიურ ბაჭყალის და აგრარიელთა ჯობის სარგებლობას. ასეთი მიდრეკილების წინა-აღმდეგ ყრილობა აცხადებს ენერგიულ პროტესტს. ყრილობა ეწინააღმდეგება არა მარტო ბაჟების მომატებას. არამედ თხოულობს ამ ბაჟების სრულიად მოსხობას. ასეთი ყრილობები გაიმართა სხვა დიდ ქალაქებშიც.

რეისიტაგის მუშათა დეპუტატებმა გამოიტყვეს პროკლამაცია „გერმანიის ხალხის მიმართ“, რომელიც თავდება ასე: „მუშა კაცებო და ქალებო! კახილეთ თვალები, დაინახეთ სოფროსე, და შეებრძოლეთ მას! დაქსწარით ყრილობებს, სდაც თქვენ გი-წვევენ, მოახდინეთ აკიტაცია ფაბრიკებში და სახელოსხელებში, იბრძოლეთ ყოველი გზით წინააღმდეგ თქვენი ცხოვრების ასეთი შეფერების! თქვენ ჩქარა მიიღებთ რეისიტაგის სახელზე გა-კეთებულ შეტიციას (თხოვნას) და ხაჭირთა რამდენიმე მილიონმა მოაწეროს ხელი, განსაკუთრებით ქალებმა, როგორც ოჯახის გამკვებმა, რომელთათვის სურსათის გაძვირება უფრო საკრძნო-ბეღია. და როცა თქვენი, მილიონთა, ხმა ერთათ აღაღადლება— პროექტიც ჩაიშლება“.

ასე თავგანწირვით იბრძვიან ლიბერალებიც. არა ხაკლებათ იბრძვიან ბაჟების მოტრფიალე, აგრარიები. 30 იანვარს მომხდარ „მეურნეთა კავშირის“ კრებამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: „გერმანიის მეურნეობის სვე-ბედი ერთიანთ დამოკიდებულია განზრახულ ბაჟების აწევასზე და ახალ სავაჭრო ხელშეკრულებებზე; მეურნეობამ უნდა მოითხოვოს საერთო მიფარველობა თავის ხა-წარმოებთა, რომ მით შეძლება მიეტყოს განვითარდეს. ვაჭრობის-თვის უნიტარტისობის მიცემა მეურნეობის წინაშე გაუქმებულ იქმნას“ და სხ.

საზოგადოთ, ბაჟების კითხვა მთელ გერმანიას ორათ ყოფის: ერთი მხრით არიან ნაციონალ-ლიბერალები, სოციალ-დემოკრა-ტები და თავისუფალი მოაზრენი; მეორე მხრით კონსერვატო-რები, თავისუფალი კონსერვატორები და ანტიესემიტები. ამათ შუაში დგას ცენტრის ზარტია, კლერიკალები და პროექტის სვე-ბედიც მათზეა დამოკიდებული. საითკენაც ისინი გადავლენ— ის მხარე გაიმარჯვებს.

იტალია. იტალიაში შედგა ახალი სამინისტრო ზარნა-დელის მეთაურობით. ახალი კაბინეტისაგან გამორიცხულია რო-გორც მემარჯვნივი, ისე უკიდურესი მემარცხენი, თუმცა ის უფრო უკანასკნელისაკენ იხრება, ვინემ ზირველისაკენ. მინისტრებს შო-რის თავისი რადიკალური შეხედელებით ცნობილია შინაკან საქმეთა მინისტრი ჯოელიტი. ის რამდენიმეჯერ იყო ფინანსთა მინისტრათ და ყოველთვის ისეთი რადიკალური რეფორმები მო-ითხოვა გადასახადების საქმეში, რომ ზალატის უმრავლესობამ არსადეს არ მიიღო და ისიც სამსახურს თავს ანებებდა. აი რა თქვა მან წარლამენტში ამას წინეთ წინანდელი მინისტრ-ბრეზი-დენტის, სონინსა სხანსურთ:

„იტალია ზოლიტიკურათ და მორალურათ ავით არის. მაგ-რამ ამის მიზეზი, ჩემი აზრით, ის არის, რომ გაბატონებული კლასები ხაზინის დიდ-ძალ ფუფს მხოლოდ თავის სასარგებლოთ ხარჯავენ. ამ ხარჯების ფარავნს გადასახადებით, რომელიც უმ-თავრესათ ღარბ კლასებს აწევს ტვირთათ. ჩვენ გვაქვს მთელი რიგი ისეთის გადასახადებისა, რომელიც ლატაკს უფრო აღატა-კებს, მაგ. გადასახადი მარლზე, ხავთზე, ხორბალზე და სხვა ასეთ საყოველთაო სახმარ საქონელზე. სამაგიერთ-კი არც ერ-თი ისეთი გადასახადი არ გვაქვს, რომელიც მიიღარ ხალხთ ეხებოდეს. და 1893 წ., როცა მე ცოტა რამ მისწავრბლი მო-ვითხოვე შეძლებულთაგან, ესენი დიდის ყვირილით შემებრძო-ლენ და ჩემი შემკვიდრე, სონინსა აიძულეს გადასახადი მა-



რილზე და ხორბალზე კიდევ აქმაღლებია. ეველასე უფრო მე ვწახარ კლასთა ბრძოლას, მაგრამ ერთი ვიკითხოთ; ვინ გამოიწვია ის ჩვენში? როცა მე ჩვენს გადასახადებს მოწინავე ქვეყნების გადასახადებს ვადარებ, როცა ჩვენი წვრილ მუყურნეთა და მუშათა მდგომარეობას გავითვალისწინებ, მაშინ არ შემიძლია არ გავევირდე იმ მთხიანებით და სულგრძელობით, რომლითაც ჩვენი ღარიბი კლასები ადგურდებიან და ამიტომ მათი შეგნება და უკეთესი ცნობებისთვის ბრძოლა კიდევაც მახარებს... მეტათ სამწუხარო მოვლენას წვრილი მუყურნეთა გაქრება. წვრილი მუსკუთრე ბუნებრივი სძირკველია მკვიდრი წყობილების და წინააღმდეგობა რევოლუციონერების. და აი, სწორედ ეს სძირკველი ქრება ჩვენი გადასახადების წყალობით. ახა გაშინჯეთ, ხატარა ხატარი მიწის მუსკუთრე მარდს ვადულობს 40-ჯერ მეტათ, ვინც ის ღირს. ზურს თუ არ სთქვს, ზურსე ისღის 40 ზრატენტს გადასახადს, ამდენსავე ზრატენტს გადასახადს ისღის ტანისამოსზე, სამეურნეო იარაღებს და სხ. და თუ მას არ ძალუძს რამდენიმე ფრანგი მიწის იჯარათ გადაინახდეს, მაშინვე გააძევენ მამულიდან და სხვას ჩაბარებენ“...

აი ასეთი შეხედულების არის ახალი მინისტრი ჯივოლტი და თუმცა ის კაბინეტის მეთაური არ არის, მაგრამ უკვეღია რამდენიმეთ გავლენას მანც იქნაიებს კაბინეტზე.

ისპანია. ისპანიაში ამ ჟამათ დიდი არეულობაა. ამის მიზეზია ხალხის მეტის-მეტი შევიწროებული მდგომარეობა. არსად, დასავლეთის არც ერთ სსკელმწიფოში იმდენი ძალა არა აქვთ ბერებს და მონასტრებს, რამდენიც აქ აქვთ. ესენი თანდათან დიდ გავლენას იძენენ და მთავრობაც მათი მორჩილია. მაგრამ კლერიკალების ასეთ გაძლიერებამ დააფიქრა მეფის სსახლე, რადგან ისინი უფრო ტანტის მძიბუებ კარლისტთა გვარს ქმამგობენ და, მასხადაძე, ბერების გაძლიერება იმავე დროს კარლისტების გაძლიერებაც არის. აი ამ დავიდარბის თავიდან ასაცილებლად სსახლემ გადასწვიტა კარლისტთა მეთაურის გრაფის კარლისისთვის მიეთხოვებინა ისპანიის ტანტის შემკვიდრე ზრინტეს მარია და მით დავა ტანტის გარეშე მთა მოქმედა. მაგრამ რადგანაც კარლისის ტანტთან დასჯილება ბერების გაშეფებს ნიშნავს—ამისთვის მთელმა ხალხმა ზრატესტი განაცხადა ამ ქორწინების წინააღმდეგ და ხმა—არ გვინდა კარლისი—ისპანიის ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში გაისმა. თვით მთავარ მინისტრი სიდეველი წინააღმდეგე იყო ამ ქორწინების, რის გამოც ის იძულებული შეიქმნა გადამდგარიყო. მის ალაგას დაინიშნა დენერალი ანკარაჟა, რომელმაც სტანტო ქალაქი მადრიდი დენერალ ველერს ჩაბარა და წესიერების დაცვა დაავალა. ამის მიუხედავად კიდევ ერთი მდიდარი ქალიშვილის ბერების წყალობით მონახნათ წასვლა. მშობლებმა ასტეხეს სხივარი მონასტრის წინააღმდეგ და ვექილათ დაიჭირეს ცნობილი რესპუბლიკანელი ორატორი სლამერანი, რომლის სიტყვები, სსმსჯავროს წინაშე ბერების წინააღმდეგ წარმოთქმული, მოედვა მთელ ისპანიას და აბობოქრა ხალხი.

ამავე დროს გადდარსა დაწერა ზიეს „ელექტრა“, სდაც კლერიკალები სმარტხვინო ბომზე გაავრა. ამ ზიესის თვითუული წარმოდგენა ქუჩის არეულობას იწვევს. ამას დაუმატეთ აგრეთვე ისიც, რომ ბერებმა მონასტრების გალაჟინში სსხელსისოები და ფაბრიკები ააკეს, „მორჩილთ“ ამუშავებენ მუქათათ, არავითარ გადასახადს არ იხდიან და ასე კონკურენციას უწევენ მრეწველთ და მუშებს.

და აი ეველას ამან გამოიწვია ის არეულობა და სისხლისღვრა, რომლის მოწამე დღეს ვართ. მონასტრებს ჯანდარმები იცავენ, ბერებთ გარეთ ვეღარ გამოდიან, ზრინტესის ქორწინება

ჩუმათ და ჯარის მივარეულობით მოხდა. მადრიდი და ზრატენციის მთავარი ქალაქები სსმხედრო წესებშია ჩაყენებული, ერთი სიტყვით, მთელ ისპანიაში დიდი კრიზისია ამ ჟამათ. მართალია, ზოგიერთმა და მხედრობამ სსმშვიდგნამოაკდო, მაგრამ ეს ძალათ გახუმება სსხამდის გასტანს—ვინ იცის.

ინგლის-ბრანსვალის ომი. ბურების ბედის ვარსკვლავი, რომელმაც უკანასკნელ ხანებში ბრწყინვალეთ დაიწყო კაშკაში, ახლა ერთბაშათ ისევ მიილულა. აი ბურებისათვის რა სამწუხარო ამბავი მოიტანა დეპეშამ ბრძოლის ველიდან: ბოტას, რომელსაც ვარსშემორტყმია ინგლისის ჯარი, შეუთვლია კიტჩენერისათვის აღარ შემიძლია განვაგრძო ბრძოლაო. მას უთხოვინა მოლაპარაკება ინგლისელებთან საყოველთაოთ იარაღის დაყრის შესახებ. მაგრამ შემდეგ მას რალაც მანქანებით ისევ თავი დაუხწვევია ინგლისელთაგან და წასულა ორი ათასი კაცი კომპატიბორტისაკენ; მას უკან დასდევნებია ფრენჩი. კიდევ უარეს განსაცდელში ჩავარდნილა დევეტი, რომელსაც შეტაკება ჰქონია ზლომერთან დისელფონტენის მახლობლად ორანჯეს მდინარის სამხრეთ ნაპირზე. ბურები გაფანტულან და მტრისათვის დაუტოვებია რამდენიმე იარაღი და 50 ტყვე. ზლომერი უკან დასდევნებია დევეტს, რომელიც, როგორც ისმის, ნავით გადასულა რამდენიმე კაცით მდინარის მეორე ნაპირზე. შტეინს გამოუტხადებია ბურებისათვის: ყველამ თვითონვე იზრუნეთ თქვენი თავისათვის და დაბრუნდით ორანჯეს რესპუბლიკაშიო. შტეინსა და დევეტს წაუყვანიათ 300 საუკეთესო ცხენი მათთან ერთათ გასაქცევათ. ბურების ჯარი ახლა პატარა-პატარა რაზმებათ ყოფილა დანაწილებული. დევეტის ჯარი თავდაპირველად 1500 კაცისაგან შესდგებოდა, ახლა-კი მასში მხოლოდ 300 კაცი დარჩენილა. კამელდრიფტის მახლობლათ დევეტს წამოსწვია ზლომერი, თავს დასხმია და 40 ბური ტყვეთ წაუყვანია. შემდეგ გაქცეულ ბურებს ზოლკოვნიკი სენი დასწვია, შეტაკებია და წაურთმევია ორი უკანასკნელი იარაღი. ბურები გაქცეულან და მტრისათვის დაუტოვებიათ ყველა ცხენები და სამზარეულოს მოწყობილობა. როგორც ისმის, ორანჯეს მდინარეზე გადასულა მხოლოდ 400 ბური.

ჩინეთი. ტიანძინიდან იუწყებინან, რომ ჩინეთის საქმეები ისევ იწეწება და საქმის საკეთილოთ დაბოლოება ახლა უფრო ძნელდება, ვიდრე აქამდე იყო. ინგლისის ელჩს მოუთხოვინა უფრო ენერგიული მოქმედება, ხოლო გრაფს ვალდერზეეს ულტიმატუმში გაუზავნია სსახლისათვის. ყველაფერი იმას გვამცნევს, რომ ჩინელთა ჯიუტობას სარჩულათ უდევს სურვილი მოემზადონ მოლაპარაკების დროს გაზაფხულზე ომის განსახლებლათ. მოთმინებიდან გამოსული სახელმწიფოთა ელჩები დასასჯელ ექსპედიციებს გზავნიან ჩინეთის სხვა-და-სხვა კუთხეში. ალაგ-ალაგ თვით ჩინელებიც თავს ესხმიან ევროპიელთა ჯარებს. მაგალ., პაოტინფუს დასავლეთით რამდენიმე ასი ჩინელი ჯარის კაცი თავს დასხმია გერმანელთა ჯარს—50 კაცს, რომელნიც ძლიერ შეუვიწროებიათ, მაგრამ შემდეგ კი უკუ-ქცეულან. ამ შეტაკების დროს გერმანიელთა მზარეზე მოკლულა ერთი და დაჭრილა შვიდი კაცი, ხოლო ჩინელთ-კი დაუხოცეს 3000 კაცი. რაც შეეხება ჩინეთის მოხელეთა სიკვდილით დასჯას, ელჩები დაუკმაყოფილებია იმპერატორის ბძანებას. მოხელეთა და-

სჯის შესახებ დებემა იუწყება, ჩუისინ და სიუჩიანს სამ-
შაბათს საქვეყნოთ მოჰყვეთენ თავსო.

ცოლი და ქმარი

მოთხრობა ეკ. ნინოშვილის.

(შემდეგი. იხ. № 7).

მელანია უფროსი შვილი იყო ზალიკასი და ფატმანესი. ეს იყო იმათი სიყვარულის პირველი ნაყოფი, ამიტომ განსხვავებით უყვარდათ და, რაც შეეძლოთ, ფუფუნებით ზრდიდნენ. პატარაობიდანვე ეტყობოდა ბავშვს, რომ მეტად კაცთ-მოყვარე გული ჰქონდა. „მისი ქირიმე, ავი რომ მის დიდ თვალებს ვაადებს და ტკბილათ შამოგხედავს, მკტარი რომ იყო ადამიანი, გაცოცხლდები!“ — ეტყოდა მამა პატარა მელანიას და დაუკოცნიდა თვალებს. „მაინც იმიზა უფრო მიყვარს, ზალიკავ, რომ შენ გგავს“ — ეტყოდა ხშირათ ფატმანე ზალიკას.

ახლა მელანია ავერ ოცი წლის ქალი იყო. პირველ შეხედვაზე ის არ მოგეწონებოდა, შავგრემანი მოდილო მოგრძო პირისახე, მსხვილ-მსხვილი შავი წარბები, სწორი, მაგრამ ცოტათი მსხვილი ცხვირით და მაღალი ფართო შუბლით კაცის სახეს მოგაგონებდათ, მაგრამ, როცა უფრო დაახლოვებით გაეცნობოდით, სრულიად გამოგეცვლებოდათ აზრი: რაღაც ტკბილი-ნელი ხმით ლაპარაკი, თაფლისფერი დიდრონი თვალები, რომლებიც რაღაც უცნაურად ტკბილად გამოიყურებოდნენ, თოვლივით თეთრი ლამაზად მოყვანილი კბილები ემხიან ქალად ხდიდნენ მელანიას. ამას მივეუბრათ საშუალოზე მაღალი, სრული, საესე ტანი და კარგი მოყვანილი საესე მკერდი, რაც კარგს სამკაულის შეადგენს ქალისთვის. მას შემდეგ, რაც წლოვანი შეიქნა, მელანია ვაჟკაცივით ეხმარებოდა მამას ყოველივე საქმეში. „რაც ჩემი მელანიე მომესრა, მერე ბაღნების გაზდა აღარ შემიტყვია, ისე უფლის, რავეც კი დედა“ — ამბობდა დედა თავის მხრივ.

თავის გათხოვის შესახებ მელანიამ ერთ საღამოზე უთხრა მშობლებს:

— რეიზა იწუხებთ თავს? მე სულ არ მომწონს იი წაბლაძე, მე კიდევ მიჩვენია, თუ არ წამიყვანს...

მელანიას უნდოდა კიდევ რაღაც ეთქვა, მაგრამ მამამ გააწყვეტინა სიტყვა:

— სუ, შვილო, რა შენი საქმეა ამის ლაპარაკი, მაღლობა ღმერთს, დედ-მამა გყავს, უპატრონო არ ხარ.

ამის შემდეგ მელანიას მშობლებთან აღარა უთქვამს რა თავის გათხოვაზე, მხოლოდ თავის მეგობარ ქალს, ტასიას, კი გაანდო თავის გულის ამბავი.

— რა ვქნა, ტასო, მე რომ მკითხავდნენ, სულაც არ შევიწუხებ იმ წაბლაძიზა თავს. უნდა გითხრა, რაღაც არ მომწონს.

— რეიზა, ქალო, ძალიან კი ბიჭიაო, აქებენ, — უპასუხა ტასიამ.

— კაი, რა ვიცი, იქნება ქეა კაი, მარა მე რომ იმის თვალები გამახსენდება, შიში ამიღებს, ისე მიყურებდა, ისე, რავეც მგელი!

— ვუიმე, რა ყოფილა! ასე თუა, რა ხერი იქნება იმის ცოლობა!

— ხერი არ იქნება, კი ვიცი, მარა, რა ვქნა, მე ვინ მკითხავს?

— უი, ჩვენი ცოლვა, ჩვენი ქმრის ამბავი ჩვენ არ გვეკითხებოდეს! იმისთანაი მგელი კაცის წაყოლას, იგი ჯობია სიკოლია ბუშს წაჰყვეს ქალი.

სიკოლიის ხსენებაზე მელანია ცოტათი შეკრთა, ერთხანს გაჩუმდა და მერე სთქვა:

— ჩემი საქმე რომ იყოს, მოგიკტი, თუ სიკოლიეს მეტს ვინმეს წავეყვე. სიკოლიე, მან ჩემი ამბავი იცის და მე მისი. ბაღნობას სულ ერთათ ვიყავით. ბუშიაო, რა უჭირს მერე, იმას რომ ერთი კაი მეოჯახე ქალი მისცა, იმისთანა მოსახლობას გააწყობს, რომე! მერე დედ-მამასთან ახლო ვიქნები.

— უი, ქალო, გეხუმრე, თვარა სიკოლიას რავე წახობი, ვისი შვილია კაცმა არ იცის. ბუშის ქალს დაგიწყებს ქვეყანა ძახილს.

— არა, ეს ტყულაი ვთქვი, თვარა დედმამაჩემი თავს დეიხოცვენ და სიკოლიას არ მიმცემენ. — თქვა ნაღვლიანად მელანიამ და ბოლოს დაუმატა:

— ნეტაი სულ არ გამათხოვდნენ, იგი მიჩვენია. რაც იგი საქმე მოხთა, მერე ჩემმა გულმა მოსვენება არ იცის. მეორე ღამე იყო, არ ვიცი, მესამე ნიშნობიდან, მესიზმა: ვითამ წაბლაძიდან მოვიდნენ მაყრები და უნდა წამიყვანონ. ჩვენსას არის ერთი სიმღერა, მხიარულება, ირევიან, ყვირიან, პირიდან ღვინოს აქცევენ, მე გამომიყვანეს წაბლაძის მაყრებმა და შემსვეს ერთ შავ ცხენზე, შემსვეს თუ არა, ცხენი გადირია, ავარდა, დავარდა, აქეთ ეცა, იქეთ ეცა, მე ვკვივი, მარა ვერაკაცმა ცხენი ვერ დეიჭირა, ამ დროს გამოვარდნენ ყვირილ-კივილით ბაბაი და ნენაი, მომაშურეს და რომ უნდა სტაცონ ხელი ცხენს, ცხენი გაჭენდა და გამიტაცა. ერთხანს კი მეყურებოდა უკან ბაბაის და ნენაის ტირილი, ვითამ მომდედნენ, მარა, ბოლოს ცხენმა წამილო საცხა შორს... და ამასობაში გამომედვიძა.

— კაი და კეთილია, შენი შვიდობა და კაი ბედი იცის, — მიულოცა ტასიამ მელანიას სიზმარი.

— მე ჩემ ბედს არ ვჩივი, ბაბას აფერი გუუჭირდებოდეს თვარა. ტასო, შენ არ დაგიმაღავ, იმ ბიჭმა რომ მე არ შემირთოს, ბაბაი საშინელს უზამს, მოკლავს სხვაი რაი და ახლანდელ დროში კაცის კვლას რავე შეარჩენენ. ბაბაი რომ... აქ მელანიას ამოუჯდა გული და ტირილი დაიწყო.

— რა გატირებს, ქალო, ნუ გეშინია, შენს დატირებას რავე გაბედავს წაბლაძე, დანიშნული ქალისას. ამიზა რა გატირებს! — გაუმავრა გული ტასომ თავის მეგობარს.

III.

ზოგიერთმა მეზობლებმა ძლიერ გააქენეს წაბლაძესა და გადაღმელიძეს შორის მომხდარი ამბავი. ზოგი ამბობდა: „თურმე ნიშნობა ღამეს მელანიას ბნედა დავმართა და საქმრომ იმიზა დაიწუნაო, ზოგი — თურმე ქალს საყვარელი ჰყოლია, საქმრომ გაიგო და იმიტომ მიატოვაო. სხვებმა კიდევ უფრო დიდი ისტორია შეთხზეს; ა, ბატონო, თურმე რავე ყოფილა საქმე — ავრცელებდნენ ხმას — წაბლაძეს ქალის სანახავათ ჯერ დედა გაუგზავნია. გადაღმელიძეს წაბლაძის დედა მოუტყუებია, თავისი ქალი-შვილის მაგიერათ, მეზობლის ლამაზი ქალი უჩვენებია და სიტყვა გამოურთმევია ნიშნობაზე. ნიშნობის ღამეს მოუპატიჟებია თავის კეთილები, მისულა თუ არა წაბლაძენი, იმათი ცხენები დილაძდე საცხა დაუმაღვან. რომ



შეუხედავს სასიძოს და ქალი აღარ მოსწონებია, ცხენები მოუთხოვია, მარა ცხენებს ვილა მოჰგვრიდა! ცხენების მოყვანის მაგიერათ, დაეხვიენ თურმე გადაღმელიძე და მისი მოყვრები—რას გვიქვია წასვლა, ასე თავს რაღა მოგაქრიებ ამ ოჯახიზაო და ძალითაი გამოურთმევიან ნიშანი. ახლა, იგია, ნიშანიც მიუტია და ქალიც“.

ვინ მოთვლის კიდე რამდენი ასეთი ამბები შეთხზეს. ნამდვილად-კი საქმე ასე იყო: ზალიკამ ვახშამი გაუწყო ნიშნობისთვის მოსულ წაბლაძეებს. ვახშამზე შემოიყვანეს სხვა ქალებთან ერთად საპატარძლოც და ვააცნეს საქმროს და მის ნათესავებს. სამსონამ და მელანიამ ვერც-კი მოასწრეს ერთმანეთის დანახვა, რომ სასიძოს ერთ მხარეს უჩვენეს სუფრაზე აღდილი და საპატარძლოს მეორე მხარეს. მართალია, ისინი ერთმანეთის პირდაპირ ისხდენ სუფრაზე, მაგრამ რადგანაც სხვა სუფრა ძლიერ დაშორებული იყო მეორედან, ამასთან კიდე პატარა-პატარა ლამპების სინათლე სუსტად ანათებდა სახლს, სამსონა და მელანია კარგად ვერ ხედავდენ ერთმანეთს. როცა ვახშამად დასხდენ და დრო მოაწია, სამსონას მამამ, ესიკამ, მიართო სარძლოს ნიშანი—ერთი პატარა ოქროს ბეჭედი და ქარვის კირალისონი. ამის შემდეგ, ჩვეულების მიხედვით, სიძე და პატარძალი ერთად დასვეს და ხალხმა დალოცა მათი მომავალი ცხოვრება ორ-ორი ჭიქა ღვინით. სამსონას უნდოდა ერთი კარგად გაესინჯა ცოლი თვალებით, მაგრამ ხალხის შერცხვა და მხოლოდ ორ-სამჯელ შეხედა, მაგრამ ისე მოუხერხებლად და ცივად, თითქო მტერი მტერს უმზერსო. მელანიას ხომ რა, თავი მალდა არ აუღია. როცა გათენდა და მთვრალი ხალხი ერთმანეთში აირია, სამსონამ იხელთა დრო და მხოლოდ ახლა დაუწყო თავის პატარძალს თვალთვლება. სამსონას არ მოეწონა მელანია. როგორც ზევით ვთქვით, მელანია შავგვრემანი ქალი იყო, მაგრამ ისეთი შავგვრემანი, რომელსაც ზოგიერთები შაქრის ფერს უწოდებენ. მაგრამ ლამის თევას და სექტემბრის ცივ დილას გავლენა მოეხდინა მელანიასზე: მისი პირისახე იმ დილას ძალზე შავი გვეგონებოდათ.

— ბაბავ, აგი რა მიქენით! შეხედე შენს რძალს, არაბსავით შავია! უთხრა საყვედურით სამსონამ თავის მამას.

— იგი მე ვიცი, რა შენი საქმეა, მე ვარ შენი უფროსი, მე რომ საქმეს ვიზამ, ხენწიფესაც-კი მოეწონება... შენ რაღა გაბედე დაწუნება! ენის ჟღაჟნით უპასუხა ესიკამ, რომელიც ფეხზე ძლივს იდგა სიმთვრალის გამო.

— ერთ ცხრა ჭიქას რომ კიდევ დალევდე, მაშინ თლათ სოლომონ ბძენი შეიქნები,—მწარედ დასცინა ესიკას შვილმა, „მაინცა და მაინც აქნაი არ გამსკტარიყავი არ იქნებოდა!“ მიატანა კიდევ საყვედურით და შეაქცია ზურგი.

ესიკას არც-კი გაუგონია შვილის სიტყვები. „დღეს ჩემი უფროსი ვაჟიშვილის ქორწილია, დათრობა არ გამეჭყუნება, ვალია, უნდა მევილხინოო“... ამბობდა ესიკა და ეხვევოდა ყელზე ზალიკას, რომელმაც საკმაოდ დალია ღვინო, მაგრამ მაინც ვერ დაეთროთ ეს ახოვანი ტანის კაცი.

როცა სამსონამ დღის სინათლეზე ზალიკას ღარიბი სახლ-კარი დაათვალიერა, კიდევ უფრო მოიწყინა. „მოვტყუვდი!“ გაურბინა ფიქრებმა.

სამსონას ბევრი ეხვეწეს სიმამრი და სიდედრი—საღამომდე მაინც მოგვიცადეო, მაგრამ სამსონა არ დარჩა—ამხანაგებთან ერთად ისიც დაბრუნდა შინ. სამსონას მაგივრად მამა მისმა, ესიკამ, მოიცადა მოყვრისას, მით უმეტეს, რომ სიმთვრალის გამო აღარ შეეძლო ცხენზე ჯდომა.

გზა და გზა სამსონას მთვრალი ამხანაგები სიმღერასა და ცხენის ჭენებას უნდებოდენ. სამსონა არ იყო მთვრალი; ის ჩვეულებრივ ბევრს სვამდა ღვინოს და იშვიათად დათვრებოდა, მაინც კიდე დილას ერთი რიგი ღვინით სავსე ჭიქების სმაზე უარი თქვა და თავიდან აიშორა. გზაზე სამსონა მიეცა ფიქრებს: „ნენას რომ ენახა ჩემი ცოლი, არ დამანებებდა იმაზე დანიშნვას... ახლა რას იტყვის, რომ ნახავს—ამისთანაი შავი რძალი მე არ მინდოდაო წიფხუბება ანას. მე მაშინ შევეცთი, ანაი რომ გუუშვი სანახავათ! დამიჩემეს—ანაი მშობელი დედაა შენი, იმისგან არის რიგი ნახოსო! მშობელი დედა იყოს, თუნდა რაი, ნენასავით კარქათ ვერა კაცი ვერ გამომირჩევდა. მიეთრია ბიცოლაი, გააგძელა ენა, ამისთანაია, იმისთანაია, წაათრია ანაი, მოატყუა და გამოუშვა! იმისთანა ქალს თუკი შევირთავდი, სხვა სოფელში რაღა მინდოდა, ჩვენში არ იშონებოდა, თუ? ჩვენ სოფელში ძალიან ბევრია კაი ქალი. რა ეშმაკმა წამიყვანა მაინცა და მაინც სხვაგან!“ აქ სამსონამ დაუწყო ფიქრით ძებნა ვინ უფრო მოსწონს მას თავის სოფელში. „წმიდაო გიორგი დამიცვი!“ წამოიძახა სამსონამ რამდენიმე წამის შემდეგ. ყველა ქალზე უფრო მოსწონდა მას თავის ბიძაშვილის ცოლი, მატრონე. მატრონე პატარა ტანის, ცქრიალა ქერა ქალი იყო, თეთრი, ვარდივით აღაჟღაჟებული პირისახით და ცისფერი დიდრონი თვალებით. წინეთ, როცა სამსონა თავის ბიძაშვილის ეზოში გაივლ-გამოივლიდა, და საქმეზე მოცქრიალევ მატრონეს დაინახავდა, რომელსაც საქმის დროს მკლავები, მკერდი და ფეხის კუნთები შიშველი ჰქონდა და ბროლივით ფეთრად უჩანდა, სამსონას რაღაც ერთი ტკბილი გრძნობა აეშლებოდა. დღემდე სამსონა არ დაჰკითხებია თავისთავს, თუ რა გრძნობა იყო ეს. მართალია, ერთხელ სამსონამ, როცა მატრონე ნახა, თავის გულში თქვა: თუ შევირთე, სწორეთ ამისთანა ქალი უნდა შევირთოო, მაგრამ დღეს სამსონა დაეკითხა თავის თავს „ვის შეირთავდიო“ და ფიქრებმა სწრაფად მიიყვანეს მატრონესთან. როგორ, მატრონე, ქმარიანი ქალი, ბიძაშვილის ცოლი!... „წმინდაო გიორგი შენ დამიცვი!“ კიდევ განიმეორა სამსონამ. მაგრამ მაინც ურბოდა მატრონეს სახე. „რა უშავდა ბედს მატრონე ჩემთვის ერგუნებია! ჩემი ბიძაშვილი სხვას შეირთავდა! ჩემმა დედ-მამამ მაინც და მაინც იმ შავროზასთან მომკვეთეს ფეხი!“

ამ ფიქრებში რომ იყო სამსონა, მისმა მთვრალმა ამხანაგებმა დაიწყეს სიმღერა ამ ლექსით:

„ღაღუ, ღაღუ,
შავო ქაღო, მამშორდი,
თეთრო, გენაცვაღუ“.

ეს ლექსი სამსონამ თავის თავზე მიიღო, „შავო ქალო“ ჩემ ცოლზე ლექსობენო, იფიქრა და ისე აუჩვილდა გული, რომ კინაღამ ტირილი არ დაიწყო. ამხანაგებმა განაგრძეს სიმღერა და ლექსობა:

... „კაი ქალი შევიყვანა, მისი გონიერება მამოძვინებდა...“
 ვინცს გამოეკიდება, გლახს ქალი შევიყვანა, ჭირათ გადაეკიდება...
 ვაი მის უბედურებას, ვისაც რამ ჭყავს გლახს ქალი“... და სხვა.

სამსონას ასე ეგონა, რომ ყველა ამგვარი ლექსები ჩემი ცოლის უფარვისობამ მოაგონა ჩემს ამხანაგებსაო.

(შემდეგი იქნება)

გიორგის „თაუსტიდან“ ნაწყვეტები.

(შემდეგი. —ნ. № 7).

(თაუსტი გადაშლის წიგნსა და ხედავს დასატყუარ მკრამლს...)

ერთი შეხედვა—და სიხარულმა დაღლილს ოცნებას სული ჩაუდგა, ჩქეფა დამიწყო ახალმა სისხლმა და სიკაბუკე ცეცხლებრი აღსდგა!...
 ნუ თუ უფალმა დვით არ დასწერა ეს დიდებული წერილი წმინდა? ტკბილი სიმშვიდე მე მან მომბერა,— და სიხარულით სული გაბრწყინდა; უცებ საკვირველ მისწრაფებითა ცოცხალნი თესლნი სამყაროს შექმნის მან—ჩემმა სულმა მსწრაფლად განჰკრიტა. ღმერთი არა ვარ?..—კიდევ თენდება! ამ ნიშნით ვიცი მე არსებობის საიდუმლონი,—გხედავ ბუნება შემოქმედია დიდის ძალისა— და ეხლა მესმის სიტყვა სიბრძნისა: „შენ ძალგის მისწვდე სულთა არსებას, მაგრამ ციხეში ჰკვა ზის ბორკილით; აღსდევ, ეცადე გამოფხიზლებას, მიწის მკერდს ჰბანდე დღის ცხოველ-სხივით“.

(სიხედავს დასატყუარს)

აი ეს მთელი როგორა სდგება ამ წვრილ სხვა-და-სხვა ნაწილებისგან, ერთი ჰქმნის სხვასა მეორეშიგან, აძლევს სიცოცხლეს და ზედ ეკვრება! ზენა ძალები როგორ სდგებიან და ერთმანეთსა ეშველებიან! თვის დალოცვილის ძლიერის ფრთებით საწყალს ქვეყანას გვიცხოველებენ; ზემოდან მწყობრად ცოცხალის ხმებით იმ შორის მხრიდან თავს დაგვრგვინებენ! საკვირველს გხედავ რა სანახავსა, სულ სხვა წყურვილით გული მევსება. მაგრამ, ბუნებავ, ვაი ჩემს თავსა, ჩემი გონება შენ ვერ მიგწვდება! შენს ძუძუებს ვერ დავეწაფები, თუმც შეადგენენ მთელისა ქვეყნის საზრდას მომცემსა წყარო ცხოვრების მისი უმანკო, საგვს კოკრები! ნაკადული რბის და თან ეღურტულებს, მაგრამ მტკივანს გულს ვერ გააგრილებს!

(გაჯავრებული გადახრუნებს გვერდს; იქ შეხედება დასატყუარს მიწის სული)

აი მეორე კვლავ სანახავი! თუ მიწის სული, შენ ნათესავი ჩემი ხარ დიდი და მახლობელი! კარვად ვგრძობ, როგორ ახალმა დღევამ და ახალ ძალის გაათქეცებამ შემაწუხა და მომიდვა ცეცხლი! მზად ვარ ვიფრინო საშინ ტალღებთან, ვსვამდე, მიწის ბრევე, მათს აღტაცებას, არცა შევუღრკე მე ბრძოლას მეხთან, არც მოვუხარო ვისერი იმას,— თუნდ ჩემი ნავი ქართი დაიმსხვრეს, მე არ შევშინდე, არც სული შეკრთეს! ჰკრაქი ძლივასლა ბეუტავს, მთვარე კი არ ანათებს, მბოლო სვეტივითა სდგას, მბოლო ორთქლი მადლისკენ იწევს,— ცეცხლის ზოლებით სისხლის სხივებსა ვხედავ თავს ზემოთ დანთებულებსა,— სამარის ყინვამ შემოჰკრა კედლებს, ტანი შიშითა მთლად მიკანკალებს! ჩემს ზემოდან ხარ, ნასურვო სულო! გამომიცხადდი, შენ დაფარულო!.. ფიქრები ფიქრებს როგორ აწვება— ვით ახალს გრძობად ყველა ერთდება! შენსკენ მოილტვის ჩემი ოცნება! მე შენ გეძახი! გამომიცხადდი!

(აიღებს წიგნსა და საიდუმლოებით წარმოსთქვამს სულის გამოსატყუარს; უცებ გამოხრება მწიფად აღნი და შიგ მიწის სული)

სული.

მე ვინ მეძახდა?

თაუსტი (ზირშექვევით)

საზარელია!

სული.

მოურიდებლათ შენ არ მეძახდი—

დაფარულს მხრიდან სანახავათა?

შენთვისა იყო სანატრელია

ჩემი დანახვა,—ზურგს მაქცევ რათა?

თაუსტი.

არ შემძლიან შენი გაძლება.

სული.

დიდხანს და დიდხანს შენ ლოცულობდი—

ტყუილ-უბრალოდ, რომ გჩვენებოდი,

რომ გღირსებოდა ხმის გაგონება.

და ეხლა, როცა შენს ძლიერს ძახილს

ყური ვათხოვე, გხედავ თავდახრილს—

და შიშით მოცულს, როგორც რომ ყმაწვილს!

სად არის თაუსტი? სად არის მკერდი

სიცოცხლით სავსე, რით ატარებდი მთელს სამყაროსა შენთანა ერთად?

სად არის მკერდი, რომელიც ხშირად

აიგზნებოდა შემოქმედების

თვის ძლიერ ძალით და ცოცხალ-მკვდრების

საზღვარზედ მდგომი შემოგვძახოდა,

თანაბრობას რა ჩვენთან ფიქრობდა?



შენ არ გაჰბედე ჩემი მოხმობა?
 შენ არ მეძებდი ამაყის სულით?
 აი აქა ვარ! როგორც რომ ცულის
 ეგ მედიდური შეხედულობა
 ჩემმა სუნთქვამა მოგჭრა თვალეში!
 ჩემს ფეხთა ქვეშე ჩემს წინა მტვერში
 ძრწის საცოდავთ ქმნილება-ლეში!

ფაუსტი.

არა, ცეცხლის ძევ, ვართ თანაწორნი
 ურიცხვ ქმნილებათ ჯაჭვში ჩვენ ორნი!

ს უ ლ ა.

დროების ნაკადულზედ, შემოქმედების ქარში,
 აკენიდან სამარემდი—
 ყველგან—მთელს ქვეყანაში
 მე უჩინრად დავფრენდი.
 დაბადება, სიკვდილი,
 ცხოვრებისა დულილი,
 სიხარული თუ ჭირი—
 საუკუნო ზღვა არი,
 დაუსრულებელ მოძრაობითა
 ხმაურა ქარგაზედა მიმავლის დროების
 გამუდმებით ვამზადებ ცოცხალს საცემელს ღმერთების!

ფაუსტი.

სამყაროს უკანასკნელს კიდევსა შენ სწვდები!
 სულთა შემოქმედების, მე შენ როგორა გგვეარ!

ს უ ლ ა.

შენ ჰგვეხარ მარტო იმას, ვისაც მხოლოდ მისწვდები,
 მაგრამ მე—არა! (გაჭქრება)

ფაუსტი. (დაეცემა)

შენ არა გგვეარ?
 მე—ხატი ღვთისა—
 შენც არა გგვეარ!—

დ. ნახუტრიშვილი.

(შემდეგი იქნება)

ისტორიული მეცნიერებებიდან.

(შემდეგი.—იხ. № 5).

ზიზო სრულიად ეთანხმება ოგიუსტენ ტიერისა და მინიეს აზრებს საზოგადოებრივი განვითარების ძირითად მიზეზების შესახებ. გიზოს აზრითაც, სოციალური ურთიერთობა საფუძველია, რომელზედაც შენდება პოლიტიკური ურთიერთობა.

„მწერალთა, მეცნიერთა, ისტორიკოსთა და პუბლიცისტთა უმეტესობა—ამბობს ის თავის „Essais sur l'histoire de France“-ში—ცდილობდნენ საზოგადოების ესა თუ ის მდგომარეობა, მისი განათლების ესა თუ ის ხარისხი აეხსნათ ამ საზოგადოების პოლიტიკური წყობილებით. მაგრამ გაცილებით უკეთესი იქნებოდა თვით საზოგადოება შეგვესწავლა, რომ გავგვეგო და აგვეხსნა მისი პოლიტიკური წყობილება. წყობილება, უწინარეს ყოვლისა, შედეგია, ხოლო მერე შეიძლება გახდეს მიზეზთ. საზოგადოება ჯერ ჰქმნის ამა თუ იმ წყობილებას და შემდეგ იცვლება ის მისი გავლენის ქვეშ; თუ გვინდა ხალხის მდგომარეობაზე ვიმსჯელოთ და გავიგოთ, როგორი უნდა ყოფილიყო, ან როგორი შეიძლება იყოს მისი მმართველობა, საჭიროა ყველაზე წინ ამ ხალხის მდგომარე-

ობა გამოვიკვლიოთ და არა ვსაჯოთ მის მდგომარეობაზე თანახმად მართვა-გამგეობის ფორმათა... საზოგადოება, მისი შემადგენელი ნაწილები, პიროვნებათა ცხოვრების წესი თანახმად მათი სოციალური მდგომარეობისა, სხვადასხვა კლასის პიროვნებათა ურთიერთობა, ანუ, მოკლეთ, აზროვნებათა მდგომარეობა (l'etat des personnes)—აი, უეჭველათ ეს კითხვები დაებადება პირველათ ისტორიკოსს, რომელსაც სურს გაიგოს, თუ როგორ ცხოვრობდა ხალხი, და პუბლიცისტს, რომელსაც სურს გაიგოს, რა გვარი მმართველობა განაგებდა მას“¹⁵).

გიზოს სიტყვით, მოქალაქობრივ ცხოვრებას ყველა იმ ხალხისას, რომელიც-კი ევროპის საისტორიო ასპარეზზე გამოსულა რომის იმპერიის დაცემის შემდეგ, მკიდრო კავშირი აქვს საადგილ-მამულო ურთიერთობასთან (l'etat des terres). ამიტომაც პირველათ საჭიროა საადგილ-მამულო ურთიერთობის შესწავლა და შემდეგ მოქალაქობრივი ყოფა-ცხოვრებისა (l'etat des personnes). „პოლიტიკურ წყობილებათა გასაცნობათ აუცილებელია შევისწავლოთ საზოგადოების სხვა-დასხვა ნაწილები და მათი ურთიერთ შორისი დამოკიდებულება, ხოლო თუ გვინდა გავიგოთ საზოგადოების სხვა-დასხვა ნაწილები, უნდა ვიცოდეთ მათი საადგილ-მამულო ურთიერთობანი“¹⁶). ასეთია გიზოს აზრი საფრანგეთის ისტორიაზე პირველ ორ დინასტიის დროს. მისი აზრით, ეს მაშინდელ საზოგადოების „ნაწილებს“ შორის ბრძოლის ისტორიაა.

ინგლისის რევოლიუციის ისტორიას ის ხატავს როგორც ბურჟუაზიის არისტოკრატისთან ბრძოლას. მას მოსწრებულათ, მაგრამ თან შემცდარათ, მიაჩნია ის შეხედულობა, რომ ვითომ ინგლისის რევოლიუცია იყოს უფრო პოლიტიკური, ვინემ სოციალური, როცა რომ საფრანგეთის რევოლიუცია ცდილობდა შეეცვალა მთლად როგორც საზოგადოება, ისე მმართველობა¹⁷). ნამდვილათ-კი ორსავე რევოლიუციის წარმომშობი მიზეზიცა და მიზანიც ერთი იყო. ინგლისში რევოლიუციური მოძრაობა დაიწყო სოციალურ ურთიერთობათა და ინგლისის ხალხის უფლებათა ცვლილების გავლენით. იმ დროს, როცა უმალღესი არისტოკრატია ჰკარგავდა თავის გავლენას ხალხზე და ირყენებოდა, წვრილი აზნაურობა, წვრილი მეურნენი და ბურჟუები, გატაცებულნი განსაკუთრებით ქონების შექმნით, უფრო და უფრო მდიდრდებოდნენ და თანდათან მეტს გავლენას პოულობდნენ. ნელა, ჩუმათ, თავის-თავის გაუგებრად-კი მათ მოიკრიბეს ხელში თითქმის მთელი საზოგადოებრივი ძალა,—ეს „ბატონობის ქემშარტი წყარო“¹⁸). რამდენადაც ფეხს იკიდებდნენ ძირითადი ცვლილებანი საზოგადოებრივ ურთიერთობაში, იმდენათ საშუალო წოდება („les communes“) ნაკლებათ ითმენდა ტირანისა“. კეთილ-დღეობის გაძლიერებამ მოითხოვა ძალ-მომრეობის შეზღუდვის საჭიროება. მეფის უფლებანი, რომელიც არავითარ პროტესტს არ იწვევდა დიდი ხნის განმავლობაში, ახლა უკვე

¹⁵) Essais sur l'histoire de France, dixième édition (პირველი გამოცემა გამოვიდა 1821 წელს), pp. 73—74.

¹⁶) Ibid, pp. 75—76.

¹⁷) Histoire de la revolution d'Angleterre Paris 1841, t. I. preface, p. XXI (წინასიტყვაობა ხელ-მოწერილია: აპრილი 1826,

¹⁸) Ibid., pp. 9—10.

ბოროტებათ მიიჩნდათ¹⁹⁾. ასე იხსენიება რევოლუციური ბრძოლა, რომელმაც მრავალი სხვა-და-სხვა გვარი განსაცდელი გამოვლო, მაგრამ ბოლოს მაინც დასრულდა საშუალო კლასის სრული გამარჯვებით.

გიზოს ეხებება ვასკერიტოს „საზოგადოებრივი შედგენილობის“ ვაგლენა არა მარტო საზოგადოების პოლიტიკურ წეს-წყობილებას, არამედ არსებულ გონებრივ მიმდინარეობასაც. საფუძვლიანათ გამოკვლევის ღირსია მისი ჯერ კიდევ პირველი იმპერიის დროინდელი შეხედულობა საფრანგეთის ლიტერატურის ისტორიაზე. მაგრამ ადგილის უქონლობის გამო ჩვენ აქ მოვიყვანთ მის მსჯელობას მხოლოდ თეატრის შესახებ. მისი აზრით, თეატრის სვე-ბედში ნათლათ გამოიხატება საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარება. ძველ საბერძნეთში, სადაც საზოგადო საქმეებს განაგებდა თვით ხალხი, თეატრი საყოველთაო, სახალხო გასართობს შეადგენდა; იქ გამოიხატებოდა თავისუფალ მოქალაქეთა ზნე-ჩვეულებანი და გემოვნებანი. ხოლო ახალი დროის საზოგადოებაში, რომელიც წარმოადგენს მშრომელთა და მუდამ ერთმანეთს შორის მებრძოლ სხვა-და-სხვა კლასთა რთულს ნაწილებს, თეატრი გამართობელია მხოლოდ. უმაღლესი კლასებისა. ამის გამო მას დიდი ღირსება აკლდება. რაკი ამ კლასებმა თავისი მდგომარეობა განიმტკიცეს, მათი ლტოლვილება ჩამოშორდა საზოგადოების დანარჩენ ნაწილის ლტოლვილებას. იმათ დაჰკარგეს ხალხის უბრალო და ბუნებრივი ზნე-ჩვეულებანი და შეისისხლ-ხორცეს ხელოვნური. ამიტომაც მხატვრულ ქმნილებათა ფარგალი ვიწროვდება და ღარიბდება. მაგალითისთვის გიზო გვითითებს ინგლისის თეატრის სვე-ბედზე 1660 წ. შემდეგ: „ინგლისის არისტოკრატია ხალხის სიძულვილის გამო იქამდე მივიდა, რომ შექსპირსაც-კი პირს არიდებდა და უზრდელს ეძახდა. ფრანგული ტრაგედიაც მაღალ კლასთა ქმნილება იყო, ამიტომაც ძველ წეს-წყობილებასთან ერთათ მანაც დაჰკარგა მნიშვნელობა. რევოლუციამ გასწმინდა ნიადაგი „ახალ დრამატიულ სისტემისათვის“²⁰⁾.

რასაკვირველია, აქ შეიძლება ყველაფერში არც დავეთანხმოთ გიზოს, მაგრამ მართალი უნდა ვთქვათ, რომ მოვლენის მიზეზთა გამოკვლევის გზა სრულიად სწორია. და აი ამ გზას დაადგენ ბოლოს საფრანგეთის ლიტერატურის უნიკიერესი კრიტიკოსები და ისტორიკოსები და მით მკვიდრი ნიადაგი მოუმზადეს კაცობრიობის გონებრივ ისტორიის მატერიალისტურათ ახსნას.

გიზოს პოლიტიკური მოღვაწეობა კიდევ უფრო ნათლათ ჰხატავს მის კლასიურ შეხედულობას. ის თავის „მოგონებებში“ ამბობს, რომ მის შეურყეველ პოლიტიკურ მისწრაფებას შეადგენდა საშუალო კლასის (des classes moyennes) უპირატესობის განმტკიცება²¹⁾. ის არა თუ მხნეთ და უშიშრათ იცავდა ამ კლასთა ინტერესებს, არამედ, როგორც თვითონ ამბობდა, მას უნდოდა კიდევ უფრო გაეზვიადებია მათი საქმე, „რისთვისაც მან გადაიტანა ის წარსულში და გამოააშკარავა ამ კლასის ინტე-

რესები და დაუდგომლობა საფრანგეთის მთელს მიმდინარეობაში“²²⁾. ეს განზრახვა მშვენივრათ განახორციელა მან თავის პოლიტიკურ პამფლეტებში. ამ პამფლეტებში ყველაზე უფრო საყურადღებოა შემდეგი წერილი: „Gouvernement de la France et du ministère actuel“-ი, 1820 წელს სექტემბერში გამოსული. ამ წერილში გიზო დიდი მფარველია საფრანგეთის რევოლუციისა. ეს რევოლუცია სრულიად ემსგავსებოდა საერთაშორისო ომს. „ცამეტი საუკუნის განმავლობაში საფრანგეთში ორგვარი ხალხი იყო: ხალხი—მძლეველი და ხალხი—ძლეული, ამბობს ის. ცამეტი საუკუნის განმავლობაში იბრძოდა ხალხი-ძლეული, რომ მოემორებინათავიდან ხალხ-მძლეველთა უღელი. ჩვენი ისტორია არის ისტორია ამ ბრძოლისა. ჩვენს დროს მოხდა მედგარი შეჯახება. ამ შეჯახებას ეწოდება რევოლუცია“²³⁾. მისი შედეგი თვალსაჩინოა. ერთს დროს ძლეული ხალხი დღეს იქცა მძლეველ ხალხათ და თავის რიგზე დაიპყრო საფრანგეთი. ამჟამა პარტიამ, გიზოს სიტყვით, მხოლოდ მიიღო ეს უქველი ფაქტი და აღიარა ის უფლებად. ამ ახალი უფლების თავმდები იყო წარმომადგენლობითი მართვა-გამგეობა²⁴⁾. დებუტატთა პალატაში არსებული დავა-კამათი მხოლოდ იმისთვის იქნებოდა უცნაური და გაუგებარი, ვინც თეორეტიკულათ უყურებდა ამ დავას და არ შეეძლო შეეგუებია ის მის მშობელ გარემოებებთან. ნამდვილათ-კი დავა არსებობდა „თანასწორობისა და უპირატესობის შორის, საშუალო კლასის და ძველ არისტოკრატის შორის“²⁵⁾. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა ატეხილი ძველ წეს-წყობილებისა და ახალ საფრანგეთს შორის და მათს მორიგებაზე ფიქრი—ოცნების ნაყოფია²⁶⁾.

(შემდეგი იქნება).

ამბიში სომხეთსა სომკრებთან.

სომხური ბელეტრისტიკა.—საერო ამხანაგობები.

სომეხთა და ქართველთა ერთმანეთთან გასაცნობათ და დასახლოებულათ სსჭირთა ერთმანეთის ლიტერატურას გაეცნონ და შეისწავლონ ერთმანეთის ჩვეულებანი და ცხოვრების მიმდინარეობა. სომხურ ენაზე ქართული ბელეტრისტიკიდან მრავალი მოთხრობებია ნათარგმნი: ყაზბეგის—„ხევის ბერი გიჟა“, „ბერდაია“, „ელგუჯა“, „ელისი“, „ელბერდ“, „ციცკა“, ნინოშვილის—„განკარგულება“, ივ. ჭავჭავაძის—„კაცია ადამიანი“, გ. წერეთლის—„ღამ-კაცი“ და სხვა. ქართულ ენაზე-კი სომხურიდან ძალიან ცოტა რამ არის ნათარგმნი: რაფუის „უბედური რიშიში“, „სიმშილი“, „სყასბო“ და „უმანკო ვაჭრება“, და რასაკვირველია, მხოლოდ ამითი ქართველებს ვერ შეუძლიან კარგათ გაეცნონ თავიანთ მეზობელ სომხების ბელეტრისტიკას, სომეხთა ერის ზნე-ჩვეულებანი. სომხურ ბელეტრისტიკაში არის იმგვარი ნაწარმოებები, რომლის შინაარსი ქართველების ცხოვრებიდან არის აღებული, შიგ გამოყვანილია მათი ცხოვრება, ურთიერთობა სომეხთა და ქართველთა შორის და სხვა, მაგალითად, რაფუის რომანი „დავით-ბეგი“. აი ამის გამო მე განვიზრახე

19) Ibid., pp. 11—12. იხ. აგრეთვე Discours sur l'histoire de la revolution d'Angleterre.
 20) იხ. მეტად საყურადღებო „Etude sur Shakspeare“, შექსპირის ფრანგული თარგმანის პირველ ტომში, Paris 1821.
 21) Memoires, Paris, t. I, p. 8.

22) Ibid., pp. 296—297.
 23) Du Gouvernement de la France, pp. 1—2.
 24) Ibid., p. 5.
 25) Ibid., p. 22.
 26) Ibid., p. 108.



გამოცემა წიგნაკები სათაურით „სომეხური ბელეტრისტიკა“, სს-
დაც მთავრებული იქნება სომეხთა ბელეტრისტიკის მთხრობ-
ბები, ქართულ ენაზე ნათარგმნი, მაგ. რაფიყის, შირვანზადის,
ზრამიანცისა, ალიანცისა, ჰატანანცისა, წერენცისა და სხვა.
უკვე მზათ არის და ამ მოკლე ხანში გამოვა ხსენებული წიგნ-
აკის პირველი ნაწილი, რომელშიაც მთავრებული იქნება შირვან-
ზადის „ძვირთასი ბარკილი“, რაფიყის „ღაფრიში“ და „აღუ-
ქსანდრე ბატონიშვილის ცხოვრება სპარსეთში“; მეორე წიგნაკში
კი მთავრებული იქნება სომეხთა გამჩენილი ზოგადების ლექსე-
ბი ქართულათ ნათარგმნი, რომელიც უკვე მზადდება.

სომეხებს მრავალი საერო ამხანაგობანი აქვთ დაწესებული
კავკასიაში, ოსმალეთში და სპარსეთში. კავკასიაში ოთხი ამხ-
ანაგობა აქვთ დაწესებული: „კავკასიის სომეხთა საქველმოქმედო
ამხანაგობა“, „თფილისის სომეხ ქალთა საქველმოქმედო საზო-
გადება“, „ბაქოს კაცთ-მოყვარეობის საზოგადება“ და „წიგ-
ნების გამომცემელი ამხანაგობა“. კავკასიის საქველმოქმედო სა-
ზოგადებას განუყოფილება ჰქონდა სხვა-დასხვა ქალაქებში, რომ-
ლებიც დაკავშირებული იყვნენ თფილისის საქველმოქმედო სა-
ზოგადებასთან. შარშან ხსენებული საზოგადების ზოგადობა
მთავრობის ბრძანებით შეიცვალა და დაერქვა „თფილისის სო-
მეხთა საქველმოქმედო ამხანაგობა“. ახალი ზოგადობის ძალით,
ვისთვის ამხანაგობამ შესწავილა უოველგვარი კავშირი ზოგ-
ადობის სომეხთა საქველმოქმედო ამხანაგობასთან. ისინი თა-
ვისუფლათ მოღვაწეობენ შემოკლებული ზოგადობით. იგივე
ცვლილება მიიღო ბაქოს და თფილისის სომეხ ქალთა საქველ-
მოქმედო ამხანაგობაც. გამომცემელი ამხანაგობა, რომელიც
ძალიან საჭიროა წიგნებსა სცემდა და კარგათ აჯილდოვებდა სო-
მეხთა მწერლებს, ამ წელს დაიკეტა მთავრობის განკარგულებით,
წიგნები და უოველგვარი ავუჯი-კი ამხანაგობამ ახუჭა ერევნის
სომეხის სემინარიას, ზოგი ნაანდერძევი ფული ჰატრანებს უკან
დაუბრუნეს.

სპარსეთის და ოსმალეთის სომეხთა საერო ამხანაგობანი
მოღვაწეობენ თავისუფლათ და დიდი სარგებლობაც მოაქვს.

ამ ახლო ხანებში ზეტერბურგიდან ამავი მოვიდა, რომ
იქაურ სომეხთა ინტელიგენციის შორის აზრი აღძრულა დაარ-
სოს ამხანაგობა, რომელსაც მიზნათ ექნება სწავლა-განათლების
გავრცელება საზოგადოათ რუსეთში და კერძოთ—კავკასიაში მოსა-
ხლე სომეხთა შორის. ამხანაგობამ უნდა განსნას სკოლები, სს-
დაც სომეხმა ემწვილებმა, რუსულთან ერთად, უნდა ისწავლან
დედა-ენაც. წესდება უკვე წარდგენილია დასამტკიცებლათ, სსდაც
ჯერ არს.

ლ. ტერდავითიანი.

დაგვრჩება, რაც ჩვენს შემოსავლს გააძრკვეცეს. ჩვენში რამდ-
ენიმე წელიწადის ს. ბავში ამხანაგობენ გრენას მასწავლებელი
გიგო და ნინო შარაშიძე, რასაც საუკეთესო შედეგი მოჰქონდა,
მაგრამ, რომ მოგვსენებათ, „მინაურ მღვდელს შენდობა არა
აქვს“, თავის დროზე არ წაიდეს: არ იფარგებს, შინ გაკეთუ-
ბულიათ და სხვა, ჩვეულებრივი, ათასი რამ მოჭირეს. ამათაც,
ჩარჩებივით, სარდაფში არ ჩაყვარეს, რომ ჭიის გამოსვლა შეე-
ჩერებათ, გრენა თავის დროზედ გამოვიდა და ზარადის მეტი
არა უნახავთ-რა. ამის მიზეზით უნდა იყოს, რომ ეს ორი წე-
ლიწადის თავი მინებებს გრენის მომხადებას. იმედია, ეს ჰატო-
ცემულნი პირნი, კვლავ შეუდგებიან გრენის მომხადებას, რი-
თაც დიდ სამსახურს გაუწევენ ჩვენს მხარეს. გრენას ახადებს
ჩიბათის სკოლის ზედამხედველი ბ-ნი სიმონ ჯორბენაძე, რი-
მელსაც უოველთვის საუკეთესო შედეგი მოაქვს. ამხანაგობენ აგ-
რეთვე მდ. მის. ჯორბენაძე, დიკონი მარკოზ ჯორბენაძე, მას-
წავლებლები: იასონ და სილვან ნიკოლაიშვილები და ერთიც
არავინ შემხვედრია ისეთი, რომ იმათგან მომხადებულ გრენაზე
საუკედური ეთქვას. მაგრამ სამი-ოთხი კაცისაგან მომხადებულ
გრენა და ისიც ხუთი და ათი კოლოფი რას გასწვდება ამოდენა
მუაბრეშუმეთ? ჩვენში გრენის მომხადება შეუძლია ოზურგეთის
სამეურნეო სკოლის მასწავლებელს ბ-ნი მ. ახლადეს, ციხის სა-
მეურნეო მ. შარაშიძეების სკოლას, წყალ-წმიდის სამეურნეო
სკოლას, ქ-ბნ ნატალია ქიქოძისა—ბავში, დიკონ ესტატე ციხ-
ცაძეს და ნესტორ ცინცაძეს—ფანსუთში, მასწავლებელს ივანე
ანდელუაძეს—ნავთობში, ნინო და ელენე ასათიანისა სავანაში,
ქ-ბნ გოგოლი ბერეჟიანისა—ნიდისთავში და უველს სოფლის მას-
წავლებელთ და შეგნებულ პირთ, ვინც ერთ ორჯერ მანც წი-
კითხავს დარბეებს გრენის მომხადების შესახებ და თვალ-ურს
ადგენებს ჭიის გამოკვებას. გურბის ამხანაგობა „შუამავალი“
ეცდება თავის მხრით ცოტადენი დახმარება აღმოუჩინოს დასა-
ხლებულ პირთ და სხვებსაც, ვინც გრენის მომხადებას შეუდ-
ება. ჩვენ ამ თავით შეკვიდილი მხლოდ მივწოდეთ სადი
გრენა უფასოთ, სკანებოდ მომხადებულ გრენისთვის (repro-
duction), რომელიც შევიძინე საფრანგეთის, იტალიის და ოს-
მალეთის რვა სხვა-დასხვა გამჩენილი ფირმათგან თეთრი და
ეფითელი, თითოელისაგან 5—10 კოლოფი; გამოუწერეთ, თუ
რომელსავე მათგანს არა აქვს, გამადიდებელი შუმა (microscope)
სიფასით, რომელსაც ნაწილ-ნაწილათ გადაიხდის და მარღე ჰარ-
კუჭანებისათვის. გაუუსადებთ გახვრეტილ ჰარკს და გრენას, რი-
მელიც სადი აღმოჩნდება. ვისაც სურს გრენა მიიღოს, ადრი-
დანვე უნდა გვაცნობოს ამხანაგობის კანტონში, ოზურგეთს და
ფანსუთში.

მარსელი.

ს. ჭეიშვილი.

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

მურიის მხარეში მითა სასურაღმომღ.

III.

ზამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ევროპიდან შემოტანილი გრე-
ნა, საშუალო რიცხვით, კარგ მოსავლს იძლევა და, თუ ეს არა,
ჩვენი მუაბრეშუმეობა ადრინდელათ უკან ჩამორჩენილი იქნებოდა.
1880—1883 წ.წ. დაწვეს ჩვენში შემოტანა „ცელულოზარუ-
ლი“ გრენისა საბერძნეთ-ოსმალეთიდან ბერძნებმა და სომეხებმა
და ამას ის შედეგი მოჰყვა, რომ დღეს ჩვენს ჰატრას გურიაში
ამ მუერნობის დარგს 300,000 მანეთზე მეტი შემოაქვს. მა-
გრამ როდემდის უნდა ვიუთ სხვისი ხელის შემუერე? დროა,
ჩვენშიაც შეუდგენ გრენის მომხადებას და ის სი ათასი მანე-
თები, რომლებიც ჩვენგან ევროპიელ გრენიორებს მიაქვთ, ჩვენვე

გ ა ნ ც ხ ა ღ მ ბ ა ნ ი.

ამით ვაცხადებ, რომ

ნლოზის ქალაქი,

რომელიც მიცემული აქვს ჩემგან ერასტე თეიმურაზის ძე
ჯაფარიძეს 3818 რეესტრით 25 აპრილს 1900 წ. ჩემის
მამულის, რომელიც მდებარეობს ბორჩალოს მაზრაში ს.
ახლი-ლიალიში, სამმართველოთ და იჯარით ვასაცემათ
და სხვა საქმეთა საწარმოებლათ, გაუქმებულია.

თავადი დავით დიმიტრის ძე ციციშვილი.

საბოლოო, სამეცნიერო და სალიტერატურო

ნასატბაანა გაზეთი

„კ ვ ა ლ ი“

(წელიწადი მეცხრე)

გამოვა 1901 წელსაც ყოველ კვირა დღეს **გაზარ-
თოვანი ურგობლი** ერთიდან სამ თაბახამდე.

რედაქციისკან: რადგანაც ახალწლიდან „კვა-
ლის“ გამოცემის საქმე ახალ პირობებში ჩადგა, ამი-
სათვის შესაძლებლად ვცანით გაზეთის სიერციტ გა-
ფართოვება, ახალი მუდმივი განყოფილებების შე-
მოღობა და მით მკითხველისათვის მეტი საკითხავი
მასალის მიწოდება.

წლის განმავლობაში „კვალში“ დაბეჭდება მეცხრე-
მეტე საუკუნის ყველა შესანიშნავი მღვანეთის სურათები
(კერძის, რუსეთის და ჩუენის) მათი ბიოგრაფიებით.

გაზეთი წლიურათ ღირს: თბილისში—7 მან., თბილისის
გარეთ—8 მან.; ნახევარი წლით: თბილისში—3 მან. 50 კ.,
თფილისის გარეთ—4 მ., ხლო სამი თვით—2 მ. თითო ნო-
მერი—სამ შაურათ.

სულის-მომწერლებს შეუძლიათ წლის ფული ნაწილ-
ნაწილათ შემოატანან.

ხელის-მოწერა მიიღება: თბილისში—წერა-კით. გამოც.
საზოგ. კანცელარიაში (სახალის ქ., სათავ.-აზნ. ქარვასლა); რკინის
გზის სადგურზე—პირველი კლასის ბუფეტში ესტ. ჩხარტიშვილთან
და თვით „კვალის“ რედაქციაში (საბიორის ქ. № 15, ალექსანდრო-
ვის ბაღის ახლო).

ქუთაისში: მიტროფანე ლაღიძესთან და ვ. ბეჟანაშვილის
წიგნის მაღაზიაში; ბათუმში—კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზია-
ში და სახალხო უფასო საკითხველოში; ოზურგეთსა და ახალ-
სენაკში—კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში; კიათურაში—
კ. მოღებამესთან და ყვირილაში—ივანე არღიშვილთან.

ფსტის აღრები: თფილს. რედაქცია „კვალი“.

открыта подписка на 1901 годъ НА ЕЖЕНЕДЕЛЬНУЮ ГАЗЕТУ ПРАВО

Выходящую безъ предварительной цензуры подъ редакціей пр.-доц.
В. М. Гессена, и Н. И. Лазаревскаго, при ближайшемъ участіи Г.
В. Гессена, О. О. Грузенберга, пр.-доц. А. И. Камвика, В. Д.
Набокова, проф. Л. Г. Петражицкаго и пр.-доц. В. М. Устинова, по
прежней программѣ.

Годовые подписчики получаютъ въ качествѣ приложеній: Сбор-
никъ рѣшеній Кассационныхъ департаментовъ и общаго собранія 1-го и
кассационныхъ департаментовъ и кассационныхъ департаментовъ Правитель-
ствующаго Сената и „Закондательный Вѣстникъ“, въ которомъ будутъ
помѣщены всѣ опубликованныя въ 1901 г. общія узаконенія, под-
лежащія внесенію въ Сводъ Законовъ и тѣ указы Пр. Сената и ад-
министративныя распоряженія, которые представляютъ существен-
ное значеніе для разъясненія смысла законовъ.

Редакція даетъ годовымъ подписчикамъ „Права“ бесплатные
отвѣты (въ количествѣ не болѣе 3-хъ) на юридическіе вопросы.

Въ теченіе 1899 и 1900 гг. въ газетѣ Право помѣстили статьи
и замѣтки слѣдующія лица:

- К. К. Арсеньевъ, М. Бейлинъ, В. Л. Бивитовъ, А. Л. Бо-
ровиковскій, В. Г. Борткевичъ, А. Бугаевскій, Г. А. Бѣлковскій,
пр.-доцентъ Ф. А. Вальтеръ, Г. Л. Вербловскій, М. М. Винаверъ,
Ал. Н. Вольскій, проф. А. К. Вульфертъ, Л. В. Гаитовъ, М. И.
Ганфманъ, В. Л. Глинка, М. С. Гольденвейзеръ, проф. А. Х.
Гольмстенъ, прив.-доц. М. Б. Горенбергъ, Я. К. Городовскій, dr.
Hans Gross, М. О. Грузенбергъ, пр.-доц. Н. В. Давыдовъ, И. С.
Денисьевъ, Гр. А. Джаншиевъ, И. Дружина, проф. Н. Л. Дювер-
нуа, В. Б. Едъшевичъ, прив.-доц. А. А. Жижиленко, К. П. Змир-
ловъ, проф. И. А. Ивановскій, В. Кетрицъ, проф. В. Д. Кузьминъ-
Караваевъ, Д. А. Левинъ, Д. Д. Лобановъ, М. А. Лозина-Лозине-

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 февраля 1901 г.

кій, В. О. Люстихъ, Д. Н. Мандельштамъ, М. С. Маргулисъ, П.
Г. Мионовъ, I. В. Михайловскій, Д. Я. Исрамень, В. М. Мина-
вичъ, Э. М. Моргулисъ, проф. С. А. Муромцевъ, М. И. Мухоморовъ,
А. Мясотинъ, прив.-доц. С. П. Никонновъ, dr. Oertmann, Ф. И.
Осецкій, М. Г. Осинскій, П. Э. Панкратьевъ, пр.-доц. М. Я. Пер-
гаментъ, пр.-доц. А. А. Пиленко, С. Ф. Платоновъ, П. А. Потѣхинъ,
И. М. Рабиновичъ, Ф. И. Родичевъ, прив.-доц. Н. Н. Розинъ, М. И.
Свѣшниковъ, В. И. Семевскій, В. Д. Сѣасовичъ, Е. Н. Тарновскій,
П. А. Тулубъ, Г. Тумановъ, И. М. Тютрюмовъ, И. О. Фесенко,
проф. И. Я. Фойницкій, В. В. Хижняковъ, проф. П. П. Цитовичъ,
проф. Н. М. Цытовичъ, И. Д. Чистяковъ, К. В. Шавровъ, В. В.
Шаллаудъ пр.Г.Ф. Шершеневичъ, Вл.Шлезингеръ, Гр.И. Шрейдеръ.

Поставивъ въ числѣ своихъ задачъ ознакомленіе читателей
съ существующей судебною и судебно-административною практикою,
а также разработку этой послѣдней, „Право“ удѣляетъ широкое
мѣсто судебнымъ отчетамъ, а также разбору рѣшеній, приговоровъ
и административныхъ постановленій, представляющихъ принципіаль-
ный интересъ, причемъ, между прочимъ начиная съ осени 1899 г.,
въ „Правѣ“ помѣщались отчеты о всѣхъ дѣлахъ, рассмотрѣнныхъ
въ кассационныхъ департаментахъ Правительствующаго Сената.

Подписная цѣна; на годъ съ доставкою и пересылкою 7 руб.,
на полгода 4 руб. Допускается разсрочка: при подпискѣ 4 р. и къ
1 мая 3 р. За границу на годъ—10 руб. Отдѣльные нумера продаю-
тся по 20 коп.

Главная контора: С. Петербургъ, Дмитровскій пер., № 6.

ЕЖЕНЕДЕЛЬНЫЙ иллюстрир. ЭКОНОМИЧЕСКІЙ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННЫЙ журналъ

ХОЗЯЙСТВО

ВІІІ г. изд.

БЕЗЪ ПРЕДВАРИТЕЛЬНОЙ ЦЕНЗУРЫ.

Подписчики въ 1901 году получаютъ бесплатно слѣдующія 6 „Книжечекъ Хозяина“:

- 1) Земство, какъ органъ сельскохозяйственной жизни. В. Г. Земскаго.
- 2) Культура масляныхъ и волоконныхъ расеній. Д-ра А. Бломейра. Съ рисунк.
- 3) Выращиваніе свота и уходъ за нимъ. Проф. Штеерта. Пер.-изв. М. Н. Грюнера,
- 4) Примѣненіе искусственныхъ удобреній Д-ра П. Вагнера (съ 128 рисунками).
- 5) Сельскохозяйственныя постройки. М. Рингельмана. Съ дополненіями гражд. инж. Э. Г. Перримонда. 250 рисунковъ.
- 6) Сельскохозяйственное счетоводство.

Въ 1900 г., между прочимъ, были помѣщены статьи: И. И. Абовина, проф. Богданова, проф. А. И. Воейкова, И. М. Кабештова, проф. П. С. Коссовича, Наз. И. Левицкаго, П. Л. Пахомова, проф. Д. Н. Пряничникова, А. А. Радцигъ, И. О. Шаглова, проф. И. О. Широкихъ, и др. Въ каждаѣ нумерѣ: Передовыя статьи—ред., обзоры сельскохоз. дѣятельн. земства—В. Г. Земскаго, обзоры научно-хоз. лит.—М. А. Эмшельдартъ.

На годъ 6 руб., на полгода 3 руб. съ перес. Разсрочка по 1 руб. въ первые 6 мѣс. Ред. А. П. Мертваго. Петербургъ, Невскій, д. 28. Изд. И. А. Машковцевъ.

გამოვიდა და იქილება

ყველა წიგნის მაღაზიებში ახალი წიგნი

„ქართული კრესა“

წერილები ნოე ჟორდანიასი.

გამოცემა „შრომის“ ამხანაგობისა.

ზანი 25 კაპ.